პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კ.

ორშაბათი
12
ოქტომბერი
1936 წ.
№ 237 (4736)

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელების საფუძველზე საქართველოს კოლმეურნეობები იზრდებიან, მაგრდებიან და მტკიცედ მიდიან შეძლებული ცხოვრებისაკენ.

ლავრენტი ბერია.

კოლმეურნეობა მილიონერი!

ორდენოსანი საქართველოს მთელი რიგი კოლმეურნეობანი ნამდვილად ბოლშევიკური, ხოლო კოლმეურნეები ნამდვილად შეძლებულნი ხდებიან.

ასეთ კოლმეურნეობათა რიცხვს ეკუთვნის, რა თქმა უნდა, მილიონერი კოლმეურნეობანიც, რომლებიც პირნათლად ასრულებენ ყველა სახელმწიფო დავალებას და ამავე დროს დღითი-დღე ზრდიან როგორც საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას, საერთო საკოლმეურნეო დოვლათს, ისე თვითეული კოლმეურნის შემოსავალსა და შეძლებას.

საქართველოში უკვე ათამდე მილიონერი კოლმეურნეობა მოგვეპოვება, სადაც კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი (თვითეულისა) ერთიდან სამ მილიონ მანეთამდე აღწევს. ამ კოლმეურნეობათა გზით მიდიან საქართველოს კოლმეურნეობანი — ყველა ისინი მილიონერები გახდებიან!

1935 წლის შემოსავლის განაწილების შედეგები გვიჩვენებს, რომ უკვე შარშან საქართველოში იყო 197 კოლმეურნეობა, რომელთაგან თვითეულის შემოსავალი 120-დან 240 ათას მან. აღწევდა, 89 კოლმეურნეობის შემოსავალი (თვითეულის) 240-დან 480 ათას მან. უდრიდა, ხოლო 26 კოლმეურნეობას (თვითეულს) ნახევრიდან ერთ მილიონ მანეთამდე შემოსავალი ჰქონდა. მიმდინარე წელს მათი რიცხვი და მაჩვენებლები, რასაკვირველია, ერთ ორად გაიზრდება.

ეს ცნობები ადასტურებს, რომ ჩვენი კოლმეურნეობანი განუხრელად მიდიან ბოლშევიკური აღმავლობის გზით.

მაგრამ ამ სანიმუშო, ნამდვილად ბოლშევიკურ კოლმეურნეობათა რიცხვი საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი როდია. საკოლმეურნეო წარმოებაში ჩვენ ვხვდებით მთელ რიგ მეტად თვალსაჩინო ნაკლს და ჩამორჩენას, რაც ასე მკაფიოდ და ბოლშევიკურად გამოამჟღავნა თავის შესანიშნავ მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანმა ხელმძღვანელმა ამხ. ლავრენტი ბერიამ.

ის მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში, მტკიცედ არის შენარჩუნებული, მათ ჩვენ ვერავინ წაგვართმევს. ახლა ჩვენი ამოცანა ის არის, რომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სწორედ იმ მრავალი ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორებას, რომლებზედაც ამხ. ბერია ლაპარაკობდა თავის მოხსენებაში — და იმ ბოლშევიკურ მითითებათა განუხრელად განხორციელებას, რომლებიც მან დაგვისახა.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მასალებს ასურეთის ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის შესახებ. თავის მოხსენებაში ამხ. ბერიამ ეს კოლმეურნეობა მოიხსენია როგორც სანიმუშო, ბოლშევიკური, სადაც სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად გატარების საფუძველზე მიაღწიეს შეძლებულ ცხოვრებას. გერმანელები, ქართველები, სომხები ძმურად ცხოვრობენ და შრომობენ ამ კოლმეურნეობაში. იგი მილიონერი კოლმეურნეობაა. უმთავრესი რითაც ამ კოლმეურნეობამ მიაღწია მილიონერობას, ის არის, რომ იქ შრომა, პატიოსანი, ენერგიული, მოწესრიგებული საკოლმეურნეო შრომა გახდა თვითეული კოლმეურნის ნამდვილი ღირსებისა და სახელის საქმე. თვითეულ კოლმეურნეს შეგნებული აქვს, რომ მხოლოდ შრომა ჰქმნის დიდ საკოლმეურნეო დოვლათს, რომ მტკიცე დისციპლინა და წესრიგი არის ნაყოფიერი შრომის აუცილებელი პირობა.

ასურეთის ამხ. ბერიას სახელობის ბოლშევიკური კოლმეურნეობის დღევანდელი დღე საქართველოს ყველა კოლმეურნეობის ხვალინდელი დღეა. ამ გზით მიდის ყველა კოლმეურნეობა. ამ მიზნის მისაღწევად უნდა იმუშაოს ყველა რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ.

ამ მუშაობაში დიდი როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ თვით მოწინავე, სანიმუშო ბოლშევიკურ კოლმეურნეობებსაც. მათ გააჩნიათ საკოლმეურნეო ცხოვრების დიდი გამოცდილება, შეუძლიათ იგი გადასცენ მეზობელ კოლმეურნეობებს, დაეხმარონ მათ ბოლშევიკურ, მილიონერ კოლმეურნეობებად გახდომაში. ამ მხრივ უსათუოდ მისაბაძებელია ასურეთის კოლმეურნეობის ინიციატივა. ამ კოლმეურნეობის წევრები ამხ. ბერიასადმი გაგზავნილ მისალმებაში კისრულობენ თავიანთი გამოცდილება გადასცენ მეზობელი სოფლის ჩამორჩენილ კოლმეურნეობას, ყოველმხრივ დაეხმარონ მას და უახლოეს ორ-სამ წელს ისიც მილიონერ კოლმეურნეობად გახადონ. ამ მაგალითს უნდა მიჰბაძონ სხვა მოწინავე ბოლშევიკურმა კოლმეურნეობებმაც. მათაც უნდა, გააჩაღონ ენერგიული მუშაობა არამარტო თავიანთი შემდგომი აღმავლობისათვის, არამედ მეზობელი კოლმეურნეობების დაწინაურებისა და აღმავლობისათვისაც.

საქართველოს ყველა კოლმეურნეობის ეს აღმავლობა კი უსათუოდ ჩქარი ტემპით წავა წინ, როცა პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციები ნამდვილად გაატარებენ ცხოვრებაში ამხ. ბერიას მოხსენების საპროგრამო მითითებებს, როცა თვითეული კოლმეურნეობა მტკიცედ დაიცავს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას, როცა ყოველი კოლმეურნეობა ისწავლის მოწინავისაგან, აითვისებს მის გამოცდილებას, როცა თვით მოწინავე კოლმეურნეები ნამდვილად დაინტერესდებიან ჩამორჩენილთა წინწაწევით, დაწინაურებით ნამდვილად დაეხმარებიან მათ.

ტყიბულის რაიონის გამარჯვება
ამხ. ლ. ბერიას

თქვენი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ტყიბულის რაიონის კოლმეურნეებმა შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა.

10 ოქტომბრისათვის მოკრეფილია 116.380 კილოგრამი (გეგმა შესრულებულია 100,3 პროცენტით). მოკრეფილი ფოთლიდან 92,2 პროცენტი პირველი ხარისხისაა. 7,6 პროც. კი — მეორისა. ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ჯავახაძე.

◊ ◊ ◊

ყურძნის დამზადების გეგმა შესრულებულია

(სიღნაღი, ტელეფონით ჩვენი საკუ. კორესპონდენტისაგან)

რაიონში წელს გეგმით უნდა დამზადებულიყო სამი ათასი ცენტნერი ყურძენი, 9 ოქტომბრისათვის დამზადების გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით.

თავისუფალი შესყიდვით ყურძენი უნდა დამზადებულიყო 5.000 ცენტნერი. 9 ოქტომბრისათვის უკვე დამზადებულია 3.000.

ყურძნის დამზადება გრძელდება.

◊ ◊ ◊

ნორმების ჩაბარება

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. ლ. პ. ბერიას.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. მგალობლიშვილს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ხარჩენკოს.

1936 წლის 1 ოქტომბრისათვის წლიური გეგმა ნორმების ჩაბარებისა 1-ლი საფეხურის ნიშანზე — „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" — საქართველოში შესრულებულია ვადამდე 103 პროცენტით: საკონტროლო ციფრით გათვალისწინებული 17.000 კაცის ნაცვლად, 1936 წელს ნორმები მთლიანად ჩააბარა 17.466 კაცმა.

ამგვარად, მშთ-ის ნიშნოსანთა არმიამ საქართველოში მიაღწია 128.040 კაცს.

ნორმების ჩაბარება გრძელდება.

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ს. მილშტეინი.

ხვნა-თესვის ფრონტზე
სტახანოვური ათდღიური

აზოვ-შავიზღვის მხარის ზლოდეისკის მტს-ის და აქარიანსკის მტს-ის (როდეს ოლქი) სტახანოველმა ტრაქტორისტებმა და ხელმძღვანელმა მუშაკებმა მიმართეს ტრაქტორისტებს, კოლმეურნეებს, მექანიკოსებს, აგრონომებს, მტს-ების დირექტორებს მოწოდებით — გამოაცხადონ ოქტომბრის მეორე დეკადა სტახანოვურ დეკადად მზრალად ხვნის გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

„კომუნისტის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ბიუროს დადგენილების შინაარსი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საქართველოში საშემოდგომო თესვა და მზრალად ხვნა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

საქართველოს მიწსახკომმა სპეციალური წერილით, რომელსაც ხელს აწერს მიწსახკომის მოადგილე ამხ. გ. გვარამია, წინადადება მისცა დასავლეთ საქართველოს ყველა რაიმიწგანსა და მტს-ის დირექტორს მტკიცე ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლმეურნეობებს, სატრაქტორო და საკოლმეურნეო ბრიგადებს, რათა 15-დან 25 ოქტომბრამდე ჩაატარონ სტახანოვური დეკადა და სოც. შეჯიბრებაში ჩააბან ყველა სატრაქტორო და საკოლმეურნეო ბრიგადა.

მათვე ევალებათ უზრუნველჰყონ სატრაქტორო პარკის შეუფერხებელი მუშაობა, თვითეული ბრიგადა, ტრაქტორი მოამარაგონ საწვავ-საცხებით, და სარემონტო მასალით და სათადარიგო ნაწილებით. მკვიდრ ნიადაგზე დააყენონ საწვავ-საცხები მასალის და ტრაქტორისტების მიერ გამომუშავებული შრომადღეების ზუსტი აღრიცხვა.

ხვნა-თესვის ფრონტზე მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალა.

სტახანოვური მუშაობით უზრუნველვყოთ საშემოდგომო თესვის ვადაზე შესრულება და მზრალად ხვნის დამაკმაყოფილებლად გაჩაღება ხარისხობრივი მაჩვენებლების მკაცრი დაცვით!

ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხთა საერთაშორისო კომიტეტის ცნობა

ლონდონი, 9 ოქტომბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხთა საერთაშორისო კომიტეტის ცნობაში ნათქვამია:

„დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში შედგა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების განმახორციელებელი საერთაშორისო კომიტეტის სხდომა. სხდომას დაესწრნენ ყველა იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც კომიტეტის წევრებად ითვლებიან. კომიტეტის თავმჯდომარემ ლორდმა პლიმუტმა განმარტა, რომ მან მოიწვია კომიტეტი, რათა განიხილონ ზოგიერთი დოკუმენტი, რომლებშიაც არის მითითება ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების დარღვევის შემთხვევებზე. ეს დოკუმენტები ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო ესპანეთის მთავრობისაგან. ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობდა, რომ თუ ზოგი ინციდენტი, რომლებზედაც ლაპარაკია ესპანეთის მთავრობის განცხადებებში, დადასტურდება, ეს იქნება შეთანხმების დარღვევა. ამიტომ ბრიტანეთის მთავრობამ ეს დოკუმენტები 6 ოქტომბერს განსახილველად გადასცა კომიტეტს.

იტალიის წარმომადგენელმა ენერგიულად უარჰყო იტალიის წინააღმდეგ მიმართულ მტკიცებათა ყველა მუხლი და განაცხადა, ყველა ეს მტკიცება სრულიად ფანტასტიკური და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ეს — განაცხადა მან შემდეგ — აშკარად იქნება დამტკიცებული იმ პასუხში, რომელსაც იტალიის მთავრობა სათანადო დროს გასცემს.

გერმანიისა და პორტუგალიის წარმომადგენლებმა ანალოგიური განცხადებები გააკეთეს თავიანთი მთავრობების პოზიციის შესახებ. კომიტეტს ამრიგად წინ ედო 6 ოქტომბრის წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ პორტუგალიის მთავრობამ დაარღვია შეთანხმება ჩაურევლობის შესახებ. ეს წერილი წარადგინა სსრ კავშირის წარმომადგენელმა და შეიცავს წინადადებას, რათა შემოწმდეს [illegible] ესპანეთ-პორტუგალიის საზღვარზე [illegible] კომისია. პორტუგალიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხის განხილვაში, ვინაიდან არა აქვს ინსტრუქციები თავისი მთავრობისაგან, რომელსაც მან აცნობა ხსენებული დოკუმენტის შინაარსი. ამ განცხადების შემდეგ პორტუგალიის წარმომადგენელმა დასტოვა კომიტეტის სხდომა.

სხდომის ყველა მონაწილე ეთანხმება იმ აზრს, რომ საერთო ინტერესებისათვის აბსოლუტურად საჭიროა, რათა მოყვანილი საჩივრები რაც შეიძლება უფრო ჩქარა იქნეს განხილული და რომ ეს განხილვა ხდებოდეს რაც შეიძლება მეტი სისწრაფით.

კომიტეტს აგრეთვე წინ ედო 7 ოქტომბრის წერილი, შედგენილი სსრ კავშირის წარმომადგენლისაგან. ამ წერილში სსრ კავშირის წარმომადგენელი აცხადებს: ჩემი მთავრობა შიშობს, რომ შეთანხმების განმეორებითი დარღვევების გამო შექმნილ მდგომარეობას შეუძლია ფაქტიურად ეფექტურობადაკარგული გახადოს შეთანხმება. საბჭოთა მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დაეთანხმოს იმას, რომ ჩაურევლობის შეთანხმება გადაიქცეს შირმად, რომელიც ფარავს სამხედრო დახმარებას, რასაც შეთანხმების ზოგიერთი მონაწილე მეამბოხეებს უწევს. ამიტომ საბჭოთა მთავრობა იძულებულია განაცხადოს, რომ თუ შეთანხმების დარღვევა დაუყოვნებლივ არ შეწყდება, საბჭოთა მთავრობა ჩასთვლის თავის თავს შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებისაგან განთავისუფლებულად (საქტა).

ლონდონის კომიტეტის სხდომის დაწვრილებითი ამბები

ლონდონი, 10 ოქტომბერი. მიღებული ცნობების თანახმად, ლონდონის კომიტეტის სხდომაზე ერთმანეთს შეეჯახა ორი ძირითადი თვალსაზრისი: ერთი მხრით პორტუგალიის, იტალიისა და გერმანიის წარმომადგენლებისა, რომლებიც ცდილობდნენ უარეყოთ ესპანეთის საქმეებში ამ სახელმწიფოთა ჩარევის ფაქტები და თავიდან აეცილებინათ ამ ფაქტების ყოველგვარი განხილვა კომიტეტის მიერ, ხოლო მეორე მხრით — სსრ კავშირის წარმომადგენლისა, რომელიც გამოდიოდა წინააღმდეგ ცდისა, გადააქციონ ლონდონის კომიტეტი ახალ შირმად, რომელიც ფარავს განსაზღვრულ სახელმწიფოთა ჩარევას ესპანეთის საქმეებში.

დღის სხდომაზე პირველი საკითხი იყო ინგლისის წარმომადგენლის მიერ კომიტეტში შეტანილ იმ დოკუმენტთა საკითხი, რომლებიც ესპანეთის მთავრობამ წარადგინა ჟენევაში.

იტალიის წარმომადგენელი გრანდი, რომელმაც რამდენჯერმე მკაცრად გაილაშქრა ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ, ცდილობდა უარეყო იტალიის მიმართ წაყენებული ყველა კონკრეტული ბრალდება შეთანხმების დარღვევაში. გრანდი კომიტეტის თავმჯდომარისაგან მოითხოვდა განცხადებას, რომ ბრიტანეთის მთავრობა კისრულობს პასუხისმგებლობას კომიტეტისათვის წარდგენილი ესპანური დოკუმენტებისათვის, ვინაიდან, კომიტეტის პროცედურის წესების თანახმად, საჩივრები განხილულ უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შემოტანილია იმ მთავრობის სახელით, რომელიც მონაწილეობს ლონდონის ჩაურევლობის შესახებ დადებულ შეთანხმებაში. გრანდის მოთხოვნას მხარი დაუჭირა გერმანიის წარმომადგენელმა ბისმარკმა, რომელმაც განაცხადა, რომ უმისოდ იგი თავის მთავრობას არც კი აცნობებს კომიტეტის სხდომაზე თვით ამ საკითხის აღძვრის ფაქტს.

კომიტეტის თავმჯდომარე ლორდმა პლიმუტმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა კისრულობს ასეთ პასუხისმგებლობას. გადაწყდა, რომ თავმჯდომარე წერილით მიმართავს იმ მთავრობებს, რომლებსაც ესპანეთის მთავრობა ბრალს სდებს შეთანხმების დარღვევაში, დასთხოვს უმოკლეს ვადაში მისცენ წერილობითი ახსნა-განმარტებანი მათ წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა გამო.

მეორე საკითხი (კომიტეტში შემოსვლის რიგის მიხედვით) იყო განხილვა სსრ კავშირის წარმომადგენლის (კომიტეტში) 6 ოქტომბრის წერილისა პორტუგალიის მთავრობის მიერ ჩაურევლობის შეთანხმების დარღვევის შესახებ. პორტუგალიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის საჩივარს აქვს ხასიათი „მტრული აქტისა", რაც გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ საბჭოთა კავშირს ოფიციალური ურთიერთობა არა აქვს პორტუგალიასთან და რომ იგი არ დაინტერესებულა ამ საკითხის [illegible], ვინაიდან არა აქვს ინსტრუქციები თავისი მთავრობისაგან. ამის შემდეგ პორტუგალიის წარმომადგენელმა დასტოვა კომიტეტის სხდომა. გამოცხადდა შესვენება.

როცა 4 საათზე კომიტეტის სხდომა განახლდა, ამხ. კაგანმა ენერგიული პროტესტი [illegible] პორტუგალიის წარმომადგენლის [illegible], მიმართული იქითკენ, რომ პორტუგალიისა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობათა უქონლობის, ან საბჭოთა განცხადების „მტრული ხასიათის" მოიმიზეზებით თავიდან აიშოროს პორტუგალიის მთავრობამ ბრალდება, რომ მან დაარღვია შეთანხმება ჩაურევლობის შესახებ. თავმჯდომარემ ლორდმა პლიმუტმა განაცხადა, სსრ კავშირის წარმომადგენლის 6 ოქტომბრის წერილს მე ვაცნობებ პორტუგალიის მთავრობას. შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პორტუგალიისაგან პასუხის მიღებამდე და პორტუგალიის წარმომადგენლის დაუსწრებლად — მას მიზანშეუწონლად მიაჩნია იმ წინადადებათა განხილვა კომიტეტში, რომლებიც საბჭოთა კავშირის განცხადებიდან გამომდინარეობენ. ამრიგად, საკითხი მოიხსნა კომიტეტის განხილვისაგან პორტუგალიის პასუხის მიღებამდე.

მესამე საკითხი, რომელიც კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში იდგა, იყო სსრ კავშირის წარმომადგენლის 7 ოქტომბრის განცხადება. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხ. კაგანმა თავის გამოსვლაში განაცხადა: საბჭოთა მთავრობა შეთანხმებას ხელს აწერდა მშვიდობიანობის და სიმართლის ინტერესებით. მდგომარეობა ისეთია, რომ შეთანხმება ჩაურევლობის შესახებ შეთანხმების ზოგიერთი მონაწილე არ ასრულებს. საბჭოთა მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დაეთანხმოს იმას, რომ ჩაურევლობის შეთანხმება გადაიქცეს შირმად, რომელიც ფარავს სამხედრო დახმარებას, რასაც შეთანხმების ზოგიერთი მონაწილე მეამბოხეებს უწევს. იმას რაც კომიტეტის ამ სხდომაზე მოხდა, შეიძლება მოჰყვეს ლონდონის კომიტეტის პროცედურის გადაქცევა ახალ შირმად, რომელიც ფარავს მეამბოხეთა მხარდაჭერას. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ერთხელ კიდევ განიმეორა, რომ თუ დაუყოვნებლივ არ შეწყდება ჩაურევლობის შეთანხმების დარღვევა, მაშინ საბჭოთა მთავრობა ჩასთვლის თავის თავს შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებისაგან განთავისუფლებულად.

იტალიის წარმომადგენლის ცდის გამო საბჭოთა უარეყო იტალიის მიერ შეთანხმების დარღვევის ყველა ფაქტი, ამხ. კაგანმა განაცხადა, რომ ფაქტები — ჯიუტი რამ არის და ესპანეთიდან უფრო მეტი მოდის უმრავლეს უარყოფაზე.

იტალიის წარმომადგენელი გრანდი შეეცადა გამოთქმებით ცდილობდა ბრალი დაედო საბჭოთა კავშირისათვის შეთანხმების დარღვევაში, იგი მიუთითებდა ყალბ ფაშისტურ ცნობებზე. საბჭოთა თევზის მომწოდებლების და იმ სამხედრო მასალის შესახებ, რომლებიც თითქოს სტუმრების სახით მიიტანეს ესპანეთში საბჭოთა გემებმა „ნევამ" და „კუბანმა". გრანდიმ შეეცადა წარმოდგენილი გამოთქმებით გაეკეთებინა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა თავისი წარმომადგენლის 7 ოქტომბრის განცხადება ჯერ კიდევ იმ დრომდე, ვიდრე ამ დეკლარაციას კომიტეტი განიხილავდა.

გრანდის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარემ ლორდმა პლიმუტმა შეიტანა წინადადება, რათა სსრ კავშირის წარმომადგენლის 7 ოქტომბრის განცხადება მიღებულ იქნას „ცნობად". სსრ კავშირის წარმომადგენელმა კაგანმა აღნიშნა, რომ გრანდის მიერ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეში არ არსებობენ. გემების „ნევისა" და „კუბანის" რეისების შესახებ აშკარად იუწყებოდნენ საბჭოთა გაზეთები, ისე როგორც იმ ტვირთის შესახებ, რომელიც ამ გემებით გაიგზავნა. მეორე მხრით მთელი პრესა და მთელი რიგი მნახველები გადმოგვცემენ, რომ ესპანეთის მთავრობის ჯარებთან იბრძვიან იტალიის და გერმანიის ყუმბარმშენები, ტყვიად წაიყვანეს იტალიელი და გერმანელი მფრინავები, ხელთ იგდეს ესპანელ მეამბოხეებისათვის გაგზავნილი გერმანული ყუმბარები და იარაღი. გრანდის მიერ ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრების გამო კაგანმა მოკლედ დასძინა, რომ კომიტეტში წარმოდგენილ ყველა ქვეყანას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ესპანეთის მთავრობასთან და იმ უკანასკნელის სიტყვა არანაკლებ ავტორიტეტულია, ვიდრე კომიტეტში წარმოდგენილი რომელიმე სხვა მთავრობის სიტყვა.

პროტესტი განაცხადა რა გრანდის გამოსვლებისა და გამოთქმების წინააღმდეგ, ამხ. კაგანმა აღნიშნა, რომ მან სხვაგვარ კომიტეტის თავმჯდომარის წინადადებით მოითხოვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის 7 ოქტომბრის განცხადება და გაიმეორა იგი, რომ ეს განცხადება გამოქვეყნდება მოსკოვში, ვინაიდან ყველა მთავრობის უფლება აქვს გამოაქვეყნოს თავისი განცხადებანი. ამხ. კაგანმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირი მოითხოვს ჩაურევლობის შეთანხმების შესრულებას. დაბეჯითებით მოითხოვს მისი დარღვევის აღკვეთას. უკანასკნელ დროის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დარღვევა პოპულარული გახდა. მაგრამ საერთაშორისო სამართალი ჩრდება და ხელშეკრულებანი უნდა შესრულდეს. გრანდი, რომელიც პროცედურის ფასისტური დაცვის ჩემპიონად მოგვევლინა, ცდილობდა პროცედურის ხლართებში მოექცია ჩაურევლობის შეთანხმების დარღვევის მთელი პრობლემა. პროცედურა უნდა შევიტანოთ სინამდვილეს და არა, პირიქით, როგორც ამას გრანდი სწორედ თუ კომიტეტს არ შეუძლია უზრუნველყოს შეთანხმების მტკიცედ დაცვა, ჯერ ეს მან სთქვას. კაგანმა კატეგორიულად გაილაშქრა კომიტეტის თავმჯდომარის მიერ შემოტანილი იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც გულისხმობს, რომ სსრ კავშირის განცხადება მიღებულ იქნას „ცნობად". ვითარება მოითხოვს დაუყოვნებლივ იქნას მიღებული კონკრეტული ზომები შეთანხმების დარღვევათა შესაწყვეტად და კომიტეტის მოვალეობაა მიიღოს ასეთი ზომები.

გერმანიის წარმომადგენელმა ბისმარკმა მხარი დაუჭირა კომიტეტის თავმჯდომარის წინადადებას — „ცნობად მიღების" თაობაზე — იმ გადაწყვეტილებით, რომ სსრ კავშირის წარმომადგენლის განცხადება „მიღებულ იქნას ცნობად". თუ საბჭოთა მთავრობა [illegible] ჩაურევლობის შეთანხმებაზე, — განაცხადა ბისმარკმა, — მაშინ გერმანია დაიტოვებს მოქმედების თავისუფლებას. შემდეგ საწინააღმდეგო აზრი გამოსთქვა კაგანმა, რომელიც მოითხოვდა გადაწყვეტილების გამოტანას საბჭოთა კავშირის განცხადების გამო. კომიტეტის რამდენიმე წევრმა განაცხადა, რომ სურს შეეკითხოს თავის მთავრობას. ამის შემდეგ სხდომა დაიხურა ისე, რომ მას არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანია (საქტა).

◊ ◊ ◊

დეკრეტი მიწის საკუთრების ექსპროპრიაციის შესახებ ესპანეთში

მადრიდი, 10 ოქტომბერი. გამოქვეყნდა სრული ტექსტი ესპანეთის მთავრობის დეკრეტისა იმ პირთა მიწის საკუთრების უსასყიდლოდ ექსპროპრიაციის შესახებ, რომელნიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გარეული არიან ფაშისტურ ამბოხებაში.

დეკრეტის შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ ამბოხების ორგანიზატორთა და უშუალო მონაწილეთა, აგრეთვე ამბოხების დამფინანსებელ პირთა მნიშვნელოვანი პროცენტი ეკუთვნის მსხვილ მიწათმფლობელთ, უმაღლეს ოფიცრობას, ეკლესიის მსახურთ, რომელნიც დიდძალ სიმდიდრეს ფლობენ. მათი ექსპროპრიაციით რესპუბლიკა გადამწყვეტ ლახვარს სცემს ფაშიზმის ეკონომიურ ბაზას ესპანეთში.

დეკრეტის პირველ მუხლში კონფისკებულად ცხადდება ამბოხების მონაწილეთა მთელი მიწის საკუთრება, დამოუკიდებლად მისი ოდენობისა.

მეორე მუხლი განსაზღვრავს, რომ გადაწყვეტილებანი ექსპროპრიაციის შესახებ თვითეულ შემთხვევაში გამოაქვთ ადგილობრივ საკვალიფიკაციო კომისიებს მუნიციპალიტეტებთან, სახალხო ფრონტის კომიტეტებთან და სასოფლო-სამეურნეო მუშათა და წვრილ მიწათმფლობელთა წარმომადგენლებთან ერთად. მეოთხე მუხლი აწესებს, რომ კონფისკებული მიწები სამუდამო სარგებლობაში გადაეცემათ სასოფლო-სამეურნეო მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებს. იმ შემთხვევებში, როცა ასეთი ორგანიზაციები არ არსებობენ, მიწები გადაეცემათ სასოფლო-სამეურნეო მუშებსა და გლეხებს, რომელნიც ასეთებად ირიცხებიან მოცემული მუნიციპალიტეტის სიებში. მიწის ექსპლოატაცია შეიძლება იყოს კოლექტიური და ინდივიდუალური — იმ სასოფლო-სამეურნეო მუშათა და გლეხთა თავისუფალი არჩევით, რომელთაც მიწა გადაეცემათ. ამავე მუხლის განსაკუთრებულ პუნქტში აღნიშნულია წვრილ ერთპიროვნულ მეურნეთა უფლებანი. შემდეგ სხვა მუხლებში დეკრეტი აწესებს, რომ მიწის ნაკვეთის პირველ რიგში მიღების უფლება აქვთ სასოფლო-სამეურნეო მუშებს, წვრილ გლეხებსა და მოიჯარადრეებს, რომელნიც რესპუბლიკისათვის სახალხო რაზმებისა და რესპუბლიკის ჯარების რიგებში იბრძვიან. იმ შემთხვევაში, თუ მებრძოლი ფრონტზე მოკვდა, ეს უფლება გადადის მის უახლოეს ნათესავებზე.

აგრარული რეფორმის ინსტიტუტს ეკისრება სასოფლო-სამეურნეო ზონების დაგეგმვა ექსპროპრიირებულ მიწებზე, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობა და სხვა. (საქტა)

საფრანგეთის ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიმართვა ამხ. ლიტვინოვისადმი

პარიზი, 10 ოქტომბერი. „ლ'იუმანიტეს" მოჰყავს საფრანგეთის ინტელიგენციის, მწერალთა და მეცნიერთა, უთვალსაჩინოესი წარმომადგენლების ჯგუფის მიმართვა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვისადმი. მიმართვას ხელს აწერენ რომენ როლანი, პოლ ლანჟევენი, ჟან რიშარ ბლოკი, ჟან კასუ, არაგონი, ლეონ მუსინაკი, ფრანსის ჟურდენი, კრემიეზი, ვილდრაკი და სხვ. წერილში ნათქვამია:

„ორ დიდმნიშვნელოვან შემთხვევაში, როცა ჟენევასა და ლონდონში ორი ხალხის ბედი, აბისინიისა და ესპანეთის ბედი წყდებოდა, საბჭოთა კავშირის ხმა ჟღერდა, როგორც მსოფლიოს სინდისის ხმა".

მიმართვაში შემდეგ აღნიშნულია, რომ კულტურის სახლის გარშემო შემოკრებილი ინტელიგენცია მადლობას უხდის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, რომელიც „ახლანდელი ქაოსის პირობებში იცავს სამართლიანობას, პატიოსნებისა და მშვიდობიანობის პრინციპთა ერთგულებას" (საქტა).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ესპანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ბ. მარსელინო პასკუა

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა ა. წ. 10 ოქტომბერს მიიღო ესპანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ბ. მარსელინო პასკუა.

მიღების შემდეგ ამხ. მოლოტოვმა ბ. პასკუას პატივსაცემად გამართა სადილი, რომელსაც დაესწრნენ: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ე. რუდზუტაკი, ვ. ი. მეჟლაუკი, ნ. კ. ანტიპოვი, სახალხო კომისრები — ლ. მ. კაგანოვიჩი, საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ი. ეჟოვი, ა. პ. როზენგოლცი, გ. ნ. კამინსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ნ. ნ. კრესტინსკი და ბ. ს. სტომონიაკოვი, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე მ. ლ. რუხიმოვიჩი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი ა. ი. ეგოროვი, სსრ კავშირის ცაკის მდივანი ი. ა. აკულოვი, ა. ზ. მოგილნი, ა. ფ. ნეიმანი და ფ. ს. ვეინბერგი (საქტა).

ამხ. ერნსტ კუგელი

ასურეთის ამხ. ლ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის ორდენოსანი ბრიგადირი.

ერნსტ გეორგის-ძე კუგელი (ალბულაღ-მანგლისის რაიონის, ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი). ამხანაგო სტალინ, მე-6 წელია ვმუშაობ ამხ. ლავრენტი ბერიას სახელობის მილიონერ კოლმეურნეობაში. პირობას ვიძლევი კიდევ უფრო გავადიდო მოსავლიანობა.

სტალინი. ხომ არ გაწუხებენ თქვენ საქართველოში?

კუგელი. არა.

ვოროშილოვი. ცხოვრება კარგი შეიქნა?

კუგელი. კარგი.

კრემლში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიერ საბჭოთა საქართველოს დელეგაციის მიღების ანგარიშიდან.

მილიონერი კოლმეურნეობა —
ამხ. ლ. ბერიას

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი!

თქვენი სახელობის ასურეთელ კოლმეურნეთა საერთო კრება მხურვალე სალამს გიგზავნის თქვენ, მგზნებარე სტალინელს, ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ, საყვარელ ხელმძღვანელს.

ძვირფასო ლავრენტი! საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-ის მე-5 პლენუმზე თქვენს შესანიშნავ მოხსენებაში, რომელიც წარმოადგენს ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობათა და მთელი სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავების ბოლშევიკურ პროგრამას, ჩვენი კოლმეურნეობა თქვენ ახსენეთ მათ შორის, რომლებიც არტელის სტალინური წესდების სწორად გატარების შედეგად იქცნენ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო მათი კოლმეურნეები — შეძლებულებად.

ჩვენი კოლმეურნეობა მართლაც, რომ ბოლშევიკური კოლმეურნეობაა, კოლმეურნეები კი შეძლებულნი. გული გვიხარის და ვამაყობთ, რომ კოლმეურნეობა, რომელიც ატარებს ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკების გამობრძმედილი, საამაყო ხელმძღვანელის სახელს, ერთ-ერთი საამაყო კოლმეურნეობაა.

ჩვენი კოლმეურნეობა მილიონერია! წელს სამი მილიონი შემოსავალი გვაქვს. კოლმეურნეობაში შესვლამდე ძლიერ გაჭირვებულად ვცხოვრობდით, სიღატაკის მოჯამაგირეობაში ვატარებდით. ჩვენი ცოლ-შვილი მუდამ მშიერი იყო. ოჯახის მოწყობასა და კულტურულ ცხოვრებაზე მაშინ ოცნებაც არ შეიძლებოდა. ახლა კი თვითეულ ჩვენგანს ნამდვილად ბედნიერი, შეძლებული, კულტურული ცხოვრება გვაქვს.

არ დარჩენილა ჩვენი კოლმეურნეობის არცერთი წევრი, რომ სახლისათვის ან კაპიტალური რემონტი არ გაეკეთებინოს, ან ახალი არ აეგოს.

პატიოსანი საკოლმეურნეო შრომა მოაქვს უხვი მოსავალი და შეძლებული ცხოვრება. ჩვენი კოლმეურნეობის წევრმა ამხ. ვოლდემარ ბაიდინგერმა შარშან 35.000 მან. მიიღო საერთო შემოსავალი, ჩვენმა ორდენოსანმა ერნსტ კუგელმა — 23.000 მან., გოთლობ ბაუერმა — 27 ათასი, იოჰან შილინგმა — 28 ათასი და სხვ. ამხ. შილინგმა უკვე წელს მიიღო ავანსი ფულად 4 ათასი მან. [illegible]. ისინი გამონაკლისს როდი წარმოადგენენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია ჩვენს კოლმეურნეობაში.

თვალსაჩინოა ჩვენი გამარჯვებანი. დიდია ჩვენი სიმდიდრე. 138 ჰექტარზე ხარობს ჩვენი ვენახის ვაზები, გვაქვს მესაქონლეობის, მეცხენეობის, მეცხვარეობისა და მეღორეობის ფერმები, ღვინის დიდი სარდაფი. სამ მილიონს აღწევს ჩვენი შემოსავალი.

ყველა ამ მიღწევისთვის ჩვენ ვუმადლით მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს, ჩვენს მასწავლებელს და მამას, საბჭოთა კავშირის გერმანელი მოსახლეობის დიდ მეგობარს ამხანაგ სტალინს, ვუმადლით თქვენ, ამხანაგო ლავრენტი, საბჭოთა ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახელოვან გამარჯვებათა ორგანიზატორს.

ჩვენი გამარჯვება, ჩვენი შეძლებული და ბედნიერი ცხოვრება საუკეთესო პასუხია გერმანიის ფაშისტებისადმი, რომლებიც ურცხვად გაჰყვირიან საბჭოთა კავშირში შიმშილობაზე იმ დროს, როცა გერმანიის გლეხობა წელში წყდება ათასგვარი ბეგარისა და გადასახადის ქვეშ. მოკლებულია ხორცს, პურს, კვერცხს, კარაქს, როცა მის ადამიანურ ღირსებას ფაშისტები ფეხქვეშ სთელავენ.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, რომელსაც მართავს დიდი სტალინი, ქვეყანაში, სადაც ყველა ერთვნების წინაშე ახალი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე იშლება კიდევ უფრო ბრწყინვალე პერსპექტივები, სადაც უზრუნველყოფილია ერთვნებათა თანასწორუფლებიანობა და ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური მათი კულტურის გაუგონარი განვითარება და აყვავება.

ჩვენ შეძლებულნი ვართ. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენსავით შეძლებულად ცხოვრობდნენ ჩვენი მეზობელი კოლმეურნეებიც. ამ მიზნით ვალდებულებას ვკისრულობთ ყოველმხრივ დავეხმაროთ მეზობელი სოფლის შავსაყდრის კოლმეურნეობას, გადავცეთ მას ჩვენი გამოცდილება და უახლოეს ორ-სამ წელს ეს კოლმეურნეობა გავხადოთ მოწინავე, მილიონერ კოლმეურნეობად.

არტელის სტალინური წესდების საფუძველზე ჩვენ კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით წავალთ წინ, განუხრელად ვივლით სტალინური მარშრუტით და საქართველოს კოლმეურნეობათა შორის მოწინავე ადგილზე ვიქნებით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი შესანიშნავი საპროგრამო მოხსენების ბოლშევიკურ მითითებათა განუხრელად განხორციელების საფუძველზე მალე მილიონერი კოლმეურნეობანი ჩვენში იქნებიან არა ერთეულნი, არამედ ათობითა და ასობით.

გაუმარჯოს შეძლებულ საკოლმეურნეო ცხოვრებას, რომელიც დიდმა სტალინმა შეგვიქმნა!

კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დავალებით:

ოტო კოხი, ერნსტ კუგელი, ე. შლეპტი, ემ. ბრაუნი, ედ. ბაუერი, ჰენრიხ კუგელი, იოჰან შილინგი, ერნსტ შალი, ბეათე კრომერი, ი. მურადოვი, ფ. მიულერი, ბერტა ფრიკ, ჰენრიხ კრომერი.

ასურეთის მილიონერი კოლმეურნეობის წარჩინებული ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): ჰენრიხ კუბელი (ბრიგადირი), ფრიდრიხ ფაიფერი, ერნსტ შალი (ბრიგადირი), ვასო კენკებაშვილი, ბერტა ფრიკ, ბეათე კრომერი (ბრიგადირი ქალი) ალბერტ კურცი (ბრიგადირი), ემანუელ ბრაუნი (კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე) გოტლობ ბაუერი და ჰენრიხ კრომერი.

ფოტო რ. აკოფოვის

კოლმეურნეობა ბოლშევიკური, შეძლებული, მილიონერი!

დაპირებას ვასრულებ!

ერნსტ კუგელი

ორდენოსანი ბრიგადირი

მე წილად მხვდა ბედნიერება საქართველოს მოწინავე ადამიანებთან ერთად კრემლში ვყოფილიყავი ხალხთა ბელად ამხ. სტალინთან, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან.

ეს უდიდესი ჯილდო და უდიდესი პატივისცემა მოვიპოვე პატიოსანი საკოლმეურნეო შრომით. კრემლში მიღების დროს მე ჩვენს საყვარელ სტალინს ვუთხარი: ექვსი წელიწადია ამხ. ლ. ბერიას სახელობის ასურეთის კოლმეურნეობაში ბრიგადირად ვმუშაობ, პირობას გაძლევთ კიდევ უფრო კარგად ვიმუშაო, მოსავლიანობა გავადიდო — მეთქი.

როგორ ვასრულებ ბელადისადმი მიცემულ პირობას, როგორ ასრულებს მთლიანად კოლმეურნეობა ნაკისრ ვალდებულებას წელს სამი მილიონი შემოსავლის მიღების შესახებ? ჯერ სამეურნეო წელი არ დამთავრებულა და მარცვლეული კულტურების მოსავალიც ცუდი ამინდების გამო შედარებით ნაკლები იყო. მაგრამ კოლმეურნეობა თავის სიტყვას პირნათლად ასრულებს.

ჩემი ბრიგადა წელს გაცილებით უფრო კარგად მუშაობს, ვიდრე შარშან. ბრიგადაში 15 მამაკაცი და 18 ქალია. სხვადასხვა კულტურები გვითესია 74 ჰექტარზე, 8 ჰექტარი ვენახიც გვქონდა. მარცვლეული კულტურების მოსავალი, მიუხედავად უამინდობისა, ჰექტარზე 20 ცენტნერი ავიღეთ. შარშან თითო ჰექტარმა ვენახმა 76 ცენტნერი ყურძენი მოგვცა. წელს კი თითო ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერს ვკრეფთ, ცალკე უბნებზე კი 130-საც. საკვები ჭარხალი ჰექტარზე 900 ცენტნერი მივიღეთ, სიმინდი 43 ცენტნერი, ერთი სიტყვით, ყველა კულტურის ხაზით ბრიგადა ნაკისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებს.

ბრიგადაში განმტკიცებულია დისციპლინა და მოწესრიგებულია შრომა. ჩვენი ბრიგადა მთლიანად სტახანოვური ბრიგადაა. ფართოდ გვაქვს გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება... შეჯიბრებაში გამოწვეული გვყავს მეათე ბრიგადა. მოწინავე ადამიანების ჰენრიხ შლენტის, ფრიკ ედვარდის, ფრიდა ბაიდინგერის, ხოფიო კუგელის და სხვ. დახმარებით, ჩვენ მუდამ წინ მივდივართ და მოწინავის სახელს ვამართლებთ.

ჩვენ გადავწყვიტეთ მონაწილეობა მივიღოთ 1937 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ გამოფენაზე ერთერთი პირველი ადგილი დავიკავოთ. ამაში ძალიან გვეხმარება კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ოტო კოხი და აგრონომი ამხ. ე. კაჭულია.

ცოტა რამ ჩვენს კოლმეურნეთა და პირადად ჩემი ცხოვრების შესახებ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კოლმეურნეობის თვითეული წევრი ბედნიერად და კულტურულად ცხოვრობს, უხვად აქვს სურსათი და ფულიც. ოჯახები ყველამ კულტურულად მოაწყო, პიანინოს, როიალს, პატეფონს ბევრგან შეხვდებით. პიანინო 14 კოლმეურნეს აქვს, პატეფონი — 30, ველოსიპედი — 50, შიფონერები და სხვა საოჯახო ავეჯეულობით სავსეა კოლმეურნეთა სახლები. მაგრამ ყველა ვერ ახერხებს სასურველი ნივთების შეძენას. ჩვენი კოოპერაცია ვერ აკმაყოფილებს კოლმეურნეთა გაზრდილ მოთხოვნებს.

გასულ წელს 25 ათასი მანეთი შემოსავალი მქონდა, წელს უფრო მეტი მექნება. პირველი სექტემბრისთვის 850 შრომადღე მაქვს ოჯახის წევრებთან ერთად, ავანსად წელს უკვე 3 ათასი მანეთი მივიღე. 3 გასათხოვარი ქალი მყავს. მათთვის უკვე შევიძინე სამი შიფონერი, ნიკელის საწოლები, ხალიჩები და სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

ჩემი ბრიგადა არ სჯერდება მარტო თავის კარგ მუშაობას. ჩვენ სხვებსაც ვეხმარებით. მე რამდენიმე ბრიგადირი აღვზარდე. ჩემი ბრიგადის 4 ყოფილი წევრი ახლა უკვე კარგი ბრიგადირია. ახლაც ვეხმარები მათ, რომ უფრო კარგად იმუშაონ.

არტელის სტალინური წესდების მტკიცედ გატარებით და ამხ. ბერიას მითითებათა განხორციელებით ჩვენ კიდევ უფრო ჩქარა წავალთ წინ და უფრო უკეთ მოვაწყობთ ჩვენს და მეზობელ კოლმეურნეობათა ცხოვრებას.

Ernst Kugel

როგორ გავხდით მილიონერი

ასურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ოტო კოხის წერილი.

კარგი და საინტერესო ისტორია აქვს ჩვენს კოლმეურნეობას. იგი ჩამოყალიბდა და განმტკიცდა მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ამ ექვსი წლის წინათ, როცა საქართველოში მიმდინარეობდა კოლექტივიზაცია, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობიდან ჩვენ არტელზე გადავედით.

პირველად კოლმეურნეობაში 36 კომლი შემოვიდა. მათი შეერთებული ძალით ჩაეყარა საფუძველი კოლექტიურ შრომას. ჩვენ მოვკრიბეთ ყველა მიწა, რომელიც არტელის წევრთა მიწის ნაკვეთებს ჰყოფდა და იგი ერთ მთლიან მასივად ვაქციეთ. ემანუელ ბრაუნი, კარლ ოსვალდი, პეტრე კენკებაშვილი, იოჰან შილინგი — აი ჩვენი კოლმეურნეობის პირველი წევრები.

მიუხედავად კლასობრივი მტრის წინააღმდეგობისა, ჩვენ მტკიცედ შევკავშირდით და ასურეთის ხოჭორმიწას ტრაქტორები დავასით. პირველ წელსვე კარგი მოსავალი მოვიყვანეთ. თვითეულმა კოლმეურნემ პირველ წელს იმდენი მიიღო, რასაც კი კერძო მეურნეობაში ორ წელიწადს ვერ მიიღებდა. ჩვენი მუშაობით დავუმტკიცეთ დანარჩენ ერთპიროვნულ მეურნეებს კოლმეურნეობის უპირატესობა. ამის შემდეგ დაიწყო მათი მასობრივი შემოსვლა კოლმეურნეობაში. მალე ჩვენი რიგები ერთიორად გაიზარდა, მეორე წელს უკვე 170 კომლი იყო კოლმეურნეობაში. კარგად დაწყებული საქმე შემდეგ წავიდა და წავიდა წინ.

პირველ წლებში, ნათესების ფართობის გადიდებასთან ერთად მთავარი ყურადღება მივაქციეთ პროდუქტიული საქონლის მოშენებას და ფერმების ზრდას. პირველ წელს ცხრა ღორი გვყავდა, მაგრამ 1932 წელს უკვე 241 სულამდე გავადიდეთ მათი რიცხვი. გავადიდეთ მსხვილი რქოსანი პირუტყვის რიცხვიც.

იმატა საკოლმეურნეო მინდვრების და ბაღების დოვლათმა. კარგი მუშაობით კარგ მოსავლიანობას მივაღწიეთ. 1935 წელს ერთ შრომადღეზე საშუალოდ მივიღეთ ფულად 9 მანეთი და 6 მანეთისა და 43 კაპიკის პროდუქცია.

ჩვენ, მთავარი ყურადღება მივაქციეთ კოლმეურნეობაში შრომის სწორ ორგანიზაციას და აღრიცხვის მოწესრიგებას. საქმის კარგად მცოდნე და საუკეთესო კოლმეურნენი დავნიშნეთ ბრიგადირებად, რომლებსაც მივეცით წლიური საწარმოო დავალება.

ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ მაგალითისათვის ავწერ ერთერთი ბრიგადის წყობას და შემადგენლობას. ერნსტ შალის ბრიგადაში 12 მამაკაცი და 21 ქალი მუშაობს. ბრიგადას მიზომილი აქვს 76 ჰექტარი თავთავიანი კულტურები, 9 ჰექტარი ვენახი, 6 ჰექტარი სიმინდი და 5 ჰექტარი კარტოფილი და ბოსტნეული. მათ ჰყავთ 16 ცხენი და 4 ხარი. აგრეთვე აქვთ საკმარისი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ერნსტ შალი თავის ბრიგადას ჯგუფებად ჰყოფს. თვითეულ ჯგუფს მიჩნეული ჰყავს ხელმძღვანელი, რომლებსაც იგი ყოველ საღამოს აძლევს მეორე დღის სამუშაოს განაწესს. დილით, როცა კოლმეურნე სამუშაოდ მიდის, მან კარგად იცის, თუ რა უნდა გააკეთოს იმ დღეს.

სოფლის სამუშაო მასივები 7-8 კილომეტრით არის დაშორებული. მათ გადასაყვანად ჩვენ ავტომობილები და ფურგონები გვაქვს. საღამოთი ბრიგადირი პირადად სინჯავს კოლმეურნეთა ნამუშევარს, იწერს ტაბელში და ყველას გააცნობს ხოლმე მათი გამომუშავების შედეგს.

ხეხილის ბაღებსა და ვენახებში ბრიგადებს თავიანთი წევრებისათვის სპეციალურად აშენებული ქოხები აქვთ. ისინი კარგად არიან მოწყობილი, სადილსაც იქ ამზადებენ. ბრიგადის თვითეული წევრი სოცშეჯიბრებაშია ჩაბმული.

როგორ გავხდით შეძლებული, მილიონერი? ამ კითხვას ორიოდე სიტყვით შეიძლება გავსცე პასუხი; კარგი და მონდომებული მუშაობით, შრომის მტკიცე დისციპლინით, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზუსტად გატარებით, აი ფაქტებიც.

ჩვენი მეურნეობისათვის წამყვანი კულტურა მევენახეობაა. ვენახის მოსავლის ზრდას ჩვენ მივაღწიეთ ვაზის კარგი მოვლით. 1932 წელს ერთმა ჰექტარმა ვენახმა მოგვცა 90,6 ცენტნერი ყურძენი, ხოლო შარშან მივიღეთ 100-მდე ცენტნერი. შარშან ვენახმა კოლმეურნეობას მტკიცე ფასების მიხედვით 748.864 მანეთის შემოსავალი მისცა. წელს კი 1.374.659 მანეთისას მოველით. ამავე იმატა მარცვლეულისა და სხვა კულტურების მოსავალმა.

მიწას ჩვენ ვამუშავებთ კარგად. ნაკვეთზე წლის განმავლობაში ორ მოსავალს ვღებულობთ. მარტში 40 ჰექტარზე ვთესავთ ადრეულ კარტოფილს, მის მოსავალს კი მაისის დამლევს ვიღებთ. ჰექტარზე დაახლოებით 2.000 ფუთი სადრეო კარტოფილი მოგვყავს. მისი აღების შემდეგ ამავე ნაკვეთზე ვთესავთ სიმინდს, კომბოსტოს, ჭარხალს, ასეთი დამუშავებით თვითეული ჰექტარი 30-40 ათასი მანეთის შემოსავალს გვაძლევს. ყველაფერ ამას ემატება შემოსავალი მეცხოველეობისაგან. შარშან იგი 46 ათას მანეთს აღწევდა. ჩვენ ფერმაში 60 დედალორი გვყავს. თითო ღორი საშუალოდ 13 გოჭს გვაძლევს.

მაგრამ ამ მიღწევებით არ ვკმაყოფილდებით. წელს ჩვენ უნდა მივიღოთ სამი მილიონი მანეთის შემოსავალი და უფრო კარგად და საამურად უნდა ვიცხოვროთ.

მომავალი წლისათვის კი ნავარაუდევი გვაქვს 4 მილიონი მანეთის შემოსავალი. ამისათვის აქედანვე ვაჩაღეთ მუშაობა და დავიწყეთ ახალი ნაკვეთების ათვისება.

Otto Koch

მე და ჩემი ამხანაგები

ვ. კენკებაშვილი

სტახანოველი კოლმეურნე

სულ რაღაც 6 წლის ისტორია აქვს ჩვენს კოლმეურნეობას და ამ ხნის განმავლობაში ცხოვრება ისე კარგად მოვაწყეთ, რომ შეძლებულნი და ბედნიერნი გავხდით. ახლა ლუკმა-პურზე აღარ ვწუხვარ. კოლმეურნეობიდან მიღებული დოვლათი ჩემს ბეღელს ყელთამდე ავსებს.

წინათ ამბობდნენ, ასურეთის მიწა უნაყოფოაო, მაგრამ კოლექტიურმა შრომამ ის ნაყოფიერად აქცია. რა არ ხარობს ახლა აქ: ვენახი, ხეხილი, კარტოფილი, პური, კომბოსტო, ერთი სიტყვით ყველაფერი.

საკვირველი ის არის, რომ ამ ექვსი წლის წინათ იშვიათად თუ ნახავდით ისეთ მოსახლეს, რომ ძროხა ჰყოლოდა. ახლა ყველას ჰყავს ძროხა და ოჯახს რძე არ აკლია, როგორც ყველა კოლმეურნის, ისე ჩემი ცხოვრებაც გაუმჯობესდა. შეძლებული გავხდი. ჩემმა ოჯახმა შარშან 1191 შრომადღე გამოიმუშავა და იმდენი მოსავალი მიიღო, რამდენსაც წინათ ორი-სამი წლის მუშაობითაც ვერ მივიღებდი. მე მივიღე 3908 ლიტრი ღვინო, 2888 კილოგრამი პური, 352 ლიტრი არაყი, 2763 კილოგრამი კარტოფილი, 394 კილო ხილეული და 6982 მანეთი ფულად. გარდა ამისა, კარგი შემოსავალი მაქვს საკარმიდამო მიწის ნაკვეთიდანაც. გლეხკაცის შრომას ფასი დაედო.

წინათ გული განუზომელი დარდით მეწვოდა, ახლა კი სიხარულით ანთებულია და მიუხედავად იმისა, რომ 70 წლისა ვარ, მინდა კიდევ დიდხანს ვიცოცხლო და დავტკბე საამური ცხოვრებით. კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ ბევრი რამ შევიძინე. თავი დავაღწიე გვერდებჩანგრეულ ქოხში ცხოვრებას. სახლი შევაკეთე, ახალი ოთახები მოვუმატე. ახლა შიგ შესვლა ადამიანს ესიამოვნება. კარგად მოვაწყე ოთახები, ბევრი საოჯახო ნივთი შევიძინე.

ჩვენც ყველანი კარგად ვმუშაობთ და კარგად ვცხოვრობთ. აი კოლმეურნეობის პირველი წევრი ვასო კენკებაშვილი, რომელიც წინათ 12 წელიწადს მოჯამაგირედ იყო და ლუკმა-პურს ვერ შოულობდა, მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობაში შევიდა, სახლი აიშენა, ძროხა, ღორი და ორი ნიკელის საწოლი შეიძინა, წერა-კითხვა შეისწავლა და ახლა ხშირად გაზეთებიდან უცხოეთის ამბებს გვიკითხავს.

ვასო კენკებაშვილმა მიმდინარე წელს დღემდე 228 შრომადღე გამოიმუშავა და ავანსად ათასი მანეთი მიიღო. ამდენს ის სხვასთან მოჯამაგირეობის დროს ორ წელიწადსაც ვერ მიიღებდა. წინათ ასურეთში მცხოვრები ქართველები ძლიერ ღარიბები ვიყავით და ლუკმა-პურისათვის გერმანელ კულაკებს ვემსახურებოდით. ახლა კულაკები მოვსპეთ და გერმანელ კოლმეურნეებთან ერთად შეძლებულად ვცხოვრობთ.

ჩვენს კოლმეურნეობაში ფართოდ არის გამოყენებული ქალთა შრომა. ქალები ენერგიულად და გულმოდგინედ მუშაობენ. სტახანოველი კოლმეურნე ქალი ბეათე კრომერი ამ ორი თვის წინათ ბრიგადირად დააწინაურეს. კარგად იცის მან აგროლონისძიებანი, რომელიც უხვი მოსავლის მისაღებადაა საჭირო. იგი მთელი ბრიგადის თვალი და გულია. არ იცის რა არის დაღლა. მის ბრიგადაში სანიმუშოდ არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია. შარშან, როცა ის რიგითი კოლმეურნე იყო, გამოიმუშავა 1431 შრომადღე. ერთ შრომადღეზე მიიღო 5 მანეთი და 79 კაპეიკი ფულად, 3 ლიტრი ღვინო, 2 კილო კარტოფილი, 2 კილო სიმინდი, ამდენივე პური, ხილეული და სხვ.

ბეათე კრომერმა თავისი კეთილსინდისიერი შრომით ოჯახი კარგად მოაწყო. ააშენა სახლი, შეიძინა შიფონერი, საწოლები, პატეფონი, გიტარა, საათი და სხვ.

რომელი ერთი ჩამოვთვალო! როგორც მე, ისე ჩემი ამხანაგები, საამურად ვცხოვრობთ. დავიწყებას მივეცით წარსული, როცა ქოხებში პრაქის მჟავარტლი თვალებს გვწვავდა. ახლა სახლებში და ქუჩებშიც ელექტრონი ანათებს.

ასურეთი კულტურულად იზრდება და წინ მიდის. ამ რამდენიმე წლის წინათ არც ერთი ექიმი არა გვყავდა, ახლა კი მშვენივრად მოწყობილი ამბულატორია და პირველი დახმარების საექიმო პუნქტები გვაქვს. კიდევ მეტი: კოლმეურნეობაში ყველა ბრიგადას თავისი აფთიაქი აქვს და გამოყოფილი არიან სანიტრები.

ჩვენს ოჯახებს ყოველწლიურად ემატება საკოლმეურნეო დოვლათი: ჩვენ ხლაპრული ნაბიჯით მივდივართ წინ.

ამხ. ოტო კოხი თავისი ოჯახისწევრებით საკუთარ ავტომობილში-(ავტომობილს მართავს თვითონ)

ფოტო რ. აკოფოვის

დ. კომახიძე

სახელოვანი გზა

ასურეთის ამხ. ლავრენტი ბერიას სახელობის კოლმეურნეობა 1930 წელს დაარსდა.

ასურეთი უმთავრესად გერმანელებით არის დასახლებული. დღეს სოფელში სრული კოლექტივიზაციაა გატარებული (კოლმეურნეობის გარეთ მხოლოდ 4 კომლი-ღა დარჩა). აქ მცხოვრები ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები, უმცირესობას შეადგენენ. კოლმეურნეობაში საბჭოთა კავშირისათვის ჩვეული ინტერნაციონალური სოლიდარობაა. როგორც გერმანელები, ისე ქართველები, სომხები და სხვა ეროვნებანი თავისუფლად ლაპარაკობენ გერმანულად, რუსულად, ქართულად.

1930 წელს კოლმეურნეობად გაერთიანებული იყო 42 მეურნე, ახლა კი 324 კომლია გაერთიანებული.

კოლმეურნეობას 1930 წელს ჰქონდა ნათესი 156 ჰექტარი, ახლა კი აქვს 1.316 ჰექტარი, მას აქვს 138 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახი და 15 ჰექტარი ხეხილის ბაღი.

საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებითაც მდიდარია იგი. აქ არსებობს 4 ფერმა: მეღორეობის ფერმა 420 ღორით; მსხვილფეხა რქიანი საქონლის 69 მეწველი ძროხით; მეცხვარეობისა — 455 ცხვრით და მეცხენეობისა 18 ფაშატით.

კოლმეურნეობა სავსებით უზრუნველყოფილია გამწევი ძალით. მას ყავს 312 მუშაცხენი, 76 ხარი, აქვს ერთი ტრაქტორი. ეს უკანასკნელი სტაციონარულ სამუშაოზეა გამოყენებული, კოლმეურნეობას ასურეთის მტს-ი უწევს მომსახურებას. კოლმეურნეობა ავტოტრანსპორტითაც არის უზრუნველყოფილი. მას 5 საბარგო და ერთი მსუბუქი ავტო აქვს.

კოლმეურნეობის კაპიტალური ნაგებობანი, კულტსაყოფაცხოვრებო დაწესებულებანი და დამხმარე წარმოებანი მეტად მნიშვნელოვანია. კოლმეურნეობას აქვს მარანი 12 ათასი დეკალიტრი ღვინის ტევადობით, ორი საღორე 60 დედალორისა და მისი ნამატის ტევადობით. ცხვრის ფარეხი — 700 სული ცხვრისათვის. ბოსელი პროდუქტიული ძროხებისათვის. 135 ძალიანი ელსადგური, კოლმეურნეობის გამგეობის სახლი („კანტორა") 11 ოთახით, სახერხი ქარხანა დღეღამეში 2 ვაგონი ხე-ტყის დამუშავების უნარმქონე, კრამიტის ქარხანა 100.000 კრამიტის გამოშვების შესაძლებლობის მქონე, 3 წისქვილი, რომელიც დღეღამეში 10 ტონას ფქვავს, აბანო — საათში 20 კაცის გაშვებით, კლუბი ხმოვანი კინოთი 300 კაცისათვის, საბავშვო ბაღი 150-ზე მეტი ბავშვისათვის, სამჭედლო, საპარიკმახერო, სამკითხველოები და დასასვენებელი ოთახები, გერმანულ, რუსულ, ქართულ ჟურნალ-გაზეთებით, წიგნებით, ბილიარდებით, ჭადრაკებითა და სხვ.

კოლმეურნეობაში მემინდვრეობის 18, მევენახეობის 1 და ხელოსანთა 1 ბრიგადაა. მეღორეობის და მეცხვარეობის ფერმებიც ბრიგადებად არიან დაყოფილი. ბრიგადირებად და ფერმის გამგეებად საუკეთესონი არიან შერჩეული. ხელმძღვანელი კადრის ხშირი ცვლასაც არ არის ჩვეული კოლმეურნეობა. აქ თქვენ ნახავთ ბრიგადირებს, რომლებიც კოლმეურნეობის დაარსებიდან დღემდე ბრიგადირებად მუშაობენ, სავსებით დაუფლებული არიან საკოლმეურნეო წარმოების და შრომის ორგანიზაციის ყველა დეტალს. მაგალითისათვის შეიძლება აღვნიშნოთ მე-14 ბრიგადის ბრიგადირი ორდენოსანი ერნსტ კუგელი. იგი მეექვსე წელია ბრიგადირად მუშაობს.

შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობაში სანიმუშოდ არის დაყენებული. სამუშაო თავისი სირთულის მიხედვით, მიკუთვნებულია სათანადო ჯგუფებზე. დადგენილია სტახანოვურ წელთან შესაბამისი გამომუშავების ნორმები. სამუშაოს ჯგუფებზე მიკუთვნება და გამომუშავების ნორმების დადგენა კოლმეურნეებსა და ბრიგადის შიგნით ხდება — არტელის სტალინური წესდების მიხედვით, სამუშაოს სირთულის, ნაკვეთის კარმიდამოდან დაშორების და იმის მხედველობაში მიღებით, თუ რა სახის საწარმოო საშუალება აქვს ბრიგადას. ასე, მაგალითად, პირველ და მეორე ბრიგადის საწარმოო ნაკვეთი დაშორებულია კარმიდამოდან 10 კილომეტრით. ამ ნაკვეთზე მუშაობის დროს ვენახის კავის ნორმა 700-ს ნაცვლად დაწყობილია 500-ის რაოდენობით. ერთი ჰექტარი ყამირის გათოხნაზე ნორმით 14 კაცდღეა ნავარაუდევი, ჩვეულებრივი ნაკვეთის გათოხნისათვის კი ჰექტარზე 10 კაცდღეს ვარაუდობენ.

ბრიგადა სეზონების მიხედვით რგოლებად ნაწილდება. თვითეულ ბრიგადაში 30-34 კაცი და ქალია, ხოლო რგოლში 10-11 კაცი და ქალი. რგოლის ხელმძღვანელებად მუდმივი კადრია შერჩეული, ხოლო ჯგუფების წევრები იცვლებიან სამუშაოს ხასიათის მიხედვით. ბრიგადირები ფიზიკური მუშაობისაგან თავისუფალი არიან პირველი მარტიდან პირველ ნოემბრამდე. ბრიგადირებს ამ ხნის განმავლობაში ეწერებათ ყოველთვიურად მოცემულ ბრიგადაში გამომუშავებული შრომადღეთა საშუალო რაოდენობა. გარდა ამისა, ბრიგადირს ყოველთვიურად დამატებით ერიცხება მოცემულ ბრიგადაში დარიცხული შრომადღეების (ბრიგადის ყოველთვიური საშუალო შრომადღეთა რაოდენობა) 10-20 პროცენტამდე ბრიგადირის სტაჟის მიხედვით, 5 პროცენტამდე თვიური საწარმოო დავალების მაღალი ხარისხის შესრულებისათვის, 5 პროცენტამდის კი იმისათვის, თუ ბრიგადირი სამუშაოდ სისტემატიურად გამოიყვანს ბრიგადის წევრთა არანაკლებ 80 პროცენტისა. 1 ნოემბრიდან 1 მარტამდე ბრიგადირები ფიზიკურად მუშაობენ და შრომადღეებიც ფაქტიური გამომუშავების მიხედვით ეწერებათ, ხოლო დამატებითი დარიცხვები ამ პერიოდზედაც ვრცელდება. არტელის წესდებასთან შესაბამისად წლის დამლევს მოსავლის გადიდებისა და საწარმოო დავალებათა შესრულების მიხედვით სწარმოებს ბრიგადის დაჯილდოვება, ან დაჯარიმება. ეს კი ბრიგადირზედაც ვრცელდება. ბრიგადირები ყოველდღიურად აღრიცხავენ კოლმეურნეთა მიერ შესრულებულ სამუშაოს რაოდენობის და ხარისხის მიხედვით. ბრიგადირი ყოველ მეხუთე დღეს ჩაუწერს კოლმეურნეს შრომის წიგნაკში შრომადღეთა რაოდენობას.

კოლმეურნეები მინდვრად სამუშაოდ გადიან დილით ადრე (მზის ამოსვლამდე) მაგალითად ოთხ ოქტომბერს 6 საათსა და 35 წუთზე სამუშაოდ გაუსვლელი აღარავინ იყო. კოლმეურნენი სამუშაო ადგილზე გადაჰყავთ და სახლში აბრუნებენ ავტოტრანსპორტით, უკიდურეს შემთხვევაში კი — ფურგონებით.

კოლმეურნენი დღეში ოთხჯერ სჭამენ საჭმელს. დილას და საღამოს — თავიანთ სახლებში, ხოლო 11 და 2 საათზე — მინდვრად. ყველას მიაქვს მინდვრად პური, ხორცი ან სხვა შესამანი. მინდორზე ამზადებენ ცხელ სადილს თუ საუზმეს. ქალები მორიგეობით აკეთებენ კერძს, მამაკაცებიც შველიან მათ, ამ საქმეში. ყველას თავისი ანგარიში და სათვალავი აქვს. სვამენ საუკეთესო ღვინოს („შალ შვარცი"). სულზე დღეში ერთი ლიტრა მოდის. ასეთია მათი ნორმა! ყველას მიაქვს ღვინო მინდვრად.

აგროწესების დაცვაში ამ კოლმეურნეობას იშვიათად ეყოლება ბადალი. შარშან სამჯერ გაატარეს თავთავიანი კულტურების კულტივაცია, ხელით მოაშორეს სარეველა ბალახები. მინდვრად შეიტანეს როგორც ნაკელი, ისე სუპერფოსფატიც — რამდენიმე ათეული ათასი ტონა. მოეწყო, ვენახის საზამთრო მოხვნა, გადაბარვა, კულტივაცია, წესიერი თესლბრუნვა, ნათესების გადამუშავების ვადისა და სიღრმის დაცვა, ერთი სიტყვით, აგროტექნიკის ყველა ნორმის ზუსტად გატარება კოლმეურნეობას პირველ მცნებად აქვს გადაქცეული. ამ საქმეში დაუღალავი ენერგიით, ბოლშევიკურად მუშაობს კოლმეურნეობის აგრონომი, მევენახეობის ენთუზიასტი ამხ. ქიტა კაჭულია.

კოლმეურნეობის სასაქონლო ფერმაც, საღორე, ბოსელი, ფარეხი და საერთოდ ყველა ნაგებობანი ზოოტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი, ბინები სუფთა და ნათელია, მომარაგებულია წყლით. იქვეა საკვების შესანახი და დასამზადებელი განყოფილებანი. საღორის თვითეულ განყოფილებაში და ქვეგანყოფილებაში ნახავთ წარწერებს ღორების ჯიშებზე, ხნოვანებაზე, წონაზე და სხვ.

არაჩვეულებრივად არის დაყენებული პირუტყვთა კვება და მოვლა-პატრონობა. ამ საქმეს დაუღალავად ხელმძღვანელობს კომკავშირელი ზოოტექნიკოსი, ქ. კ. კომიტეტის მდივანი ამხ. კარლ ბაუმმაისტერი.

ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობაში მოსავალი.

1932 წელს ჰექტარზე მიიღეს 6,3 ცენტნერი მარცვლეული, 153 ცენტნერი კარტოფილი, 470 ცენტ. საკვები ჭარხალი, 90,6 ცენტნერი ყურძენი, 1935 წელს კი — მარცვლეული — 9,46 ცენტ. კარტოფილი — 177 ცენტ. ყურძენი 100 ცენტნერი.

აგროტექნიკისა და შრომის ორგანიზაციის დაუფლების საფუძველზე მოსავლიანობის ზრდამ, ვენახის და დამხმარე წარმოებების მძლავრმა განვითარებამ კოლმეურნეობის და კოლმეურნეთა შემოსავალი დიდად გაზარდა.

1930 წელს კოლმეურნეობის შემოსავალი 182.166 მანეთს შეადგენდა. აქედან შრომადღეებზე განაწილდა 71.454 მანეთი, ერთ შრომადღეზე მოდიოდა 5 მან. და 15 კაპ. 1935 წელს კი კოლმეურნეობის შემოსავალი 2.286.072 მანეთს შეადგენდა. შრომადღეებზე განაწილდა 1.388.509 მანეთი, ერთ შრომადღეზე მოდიოდა 9 მან. 47 კაპ. 1936 წლის გეგმით კი კოლმეურნეობის შემოსავალი 3 მილიონი მანეთის რაოდენობით არის ნავარაუდევი, შრომადღის ღირებულება 10 მანეთზე მეტი იქნება.

ამასთანავე იზრდება კოლმეურნეობის ძირითადი განუყოფელი ფონდი. 1932 წელს კოლმეურნეობის ძირითადი განუყოფელი ფონდი 863.744 მანეთს შეადგენდა. 1936 წლის იანვრისთვის კი — 1.970.632 მანეთს, ხოლო 1937 წლის იანვრისათვის 2 მილიონ 200 ათასზე მეტი იქნება.

უხვმა საკოლმეურნეო პროდუქციამ, სტახანოვური მეთოდით მუშაობამ ასურელები შეძლებულნი და საამური ცხოვრების ბედნიერ პირობებში ჩააყენა. ასურეთი კულტურულად მორთულ ქალაქსა ჰგავს. აქ ვერ ნახავთ დაბალ, ნესტიან და მიწურ სახლს. ყველა კოლმეურნის კოხტა საკარმიდამო ნაკვეთს კრამიტით დახურული საუკეთესო 2-4 ოთახიანი, კულტურულად მორთული ქვითკირის სახლი ამშვენებს, ორი უკანასკნელი წლის მანძილზე აქ 22 კოლმეურნემ აიგო ახალი 2-3 ოთახიანი სახლი.

კოლმეურნენი მასობრივად ყიდულობენ ძვირფას საოჯახო მოწყობილობას და ისეთ კულტნივთებს, როგორიცაა პატეფონი და სხვ. ახლად შეძენილი პიანინოები 14 კოლმეურნის ოჯახს ამშვენებს და ამხიარულებს. აქ არა ერთი და ორია ისეთი კოლმეურნე, რომელიც წლიურად კოლმეურნეობაში 10-15 ათასი მანეთს და მეტსაც ღებულობს. შარშან გოთლიბ მაიერის ოჯახმა 1.360 შრომადღე გამოიმუშავა, ფულად მიიღო 7.500 მანეთი, ხოლო გარდა ამისა მიღებული პროდუქტების ღირებულებას საკოლმეურნეო ბაზრის ფასებში თუ ვიანგარიშებთ, მისი წლიური შემოსავალი 27.000 მანეთს შეადგენდა. მან აგრეთვე საკარმიდამო მეურნეობიდან მიიღო 1.000 მანეთამდე. ორდენოსანმა ბრიგადირმა ერნსტ კუბელმა შარშან შრომადღეებზე მიიღო 6.500 მანეთი ფულად, 3.507 ლიტრა ღვინო, 2.098 კილო მარცვლეული, 2.700 კ-გრ. კარტოფილი, 110 ლიტრა არაყი, 400 კილოზე მეტი ბოსტნეული და სხვა. საკოლმეურნეო ბაზრის ფასებში მის მიერ მიღებული პროდუქტები 15.500 მანეთს შეადგენს. ამრიგად, შარშან კოლმეურნეობიდან მან მიიღო 23 ათასი მანეთი. მას ჰყავს 2 ძროხა. თვითეული დღეში 5 ლიტრს იწველის. საკარმიდამო მეურნეობიდან 2.000 მანეთამდე შემოსავლის.

კენკებაშვილის ოჯახმა შარშან მიიღო ფულად 5.500 მანეთი და 2.700 ლიტრა ღვინო, 7.600 კილოგრამი მარცვლეული, 2.400 კილო კარტოფილი 90 ლიტრა არაყი და სხვა.

კოლმეურნეობას 31 სტახანოველი ჰყავს მათ შორისაა ქართლინა ბაიდინგერი იგი მეღორეობის ფერმაში მუშაობს. მეღორეობის ამ ენტუზიასტმა ქალმა იკისრა ვალდებულება დედა-ღორზე მიეღო და შეენარჩუნებინა 16 გოჭი (ნორმა 10-12-ია). ღორების კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად ეს მან შეასრულა. ჰენრიხ შლენტი — გეგმას 180-220 პროც.-ით ასრულებს, მას ყველაზე ნაკლები დანაკარგი აქვს მოსავლის აღების დროს. პეტრე კენკებაშვილი დღეში ნორმით გათვალისწინებულ 800 კვ. მეტრის ნაცვლად მკიდა 1600 კვ. მეტრზე. ბერტა ფრიკი ნაცვლად 1.500 ვაზის აკვრისა 3.930 — აკრავს, ხოლო ამყნობს 600-ის ნაცვლად 900-ს.

იზრდება პარტკომკავშირის პირველადი ორგანიზაციის ავანგარდული როლი. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები რიცხობრივადაც იზრდებიან. პარტორგანიზაციასთან არსებულ თანამგრძნობთა ჯგუფში 18 საუკეთესო სტახანოველია მიღებული.

კოლმეურნეობა სახელმწიფო ვალდებულებას და კონტრაქტაციით ნაკისრ ვალდებულებას ყოველთვის ვადამდე ასრულებს უმაღლესი ხარისხის დაცვით.

საშემოდგომო ხვნა-თესვა კარგა ხანია დაიწყეს. მოსამზადებელი მუშაობა უმაღლესი ხარისხით შეასრულეს. ხვნა-თესვას და მძლავრად ხვნის გეგმას ვადამდე და უმაღლესი ხარისხით დაამთავრებენ.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების „[illegible] საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის" დამუშავება-შესწავლის დროს კოლმეურნეობამ იკისრა შემდეგი ვალდებულება: პირველ-ყოვლისა, ჩამორჩენილ ს. შავი საყდრის კოლმეურნეობას დაეხმაროს მატერიალურადაც და გამოცდილების გაზიარებითაც იმ ვარაუდით, რომ უახლოეს დროში გადააქციოს იგი მილიონერ კოლმეურნეობად; 1940 წლის ბოლომდე გააშენოს ვენახი 147 ჰექტარზე აქედან უმაღლესი ჯიშისა — 15 ჰექტარზე. ბაღი — 15 ჰექტარზე. 1937 წლის ბოლოსათვის თითო ძროხის წლიური წველადობა 1600 ლიტრიდან აიყვანოს 2.000-მდე. 1940 წლისათვის იყოლიოს 1.000 სული ცხვარი და სხვ.

ეჭვი არ არის, ასურელები ამ ვალდებულებებსაც პირნათლად შეასრულებენ.

DAS LEBEN DES IOHANN SCHILLING

ცხოვრება იოჰან შილინგისა



იოჰან შილინგი

I. იერუსალიმის ლეგენდა

ბუნდოვნად ახსოვს იოჰანს წელში მოხრილი პეპერა (პაპის მამა). მოჯამაგირედ უკვე ველარ დადიოდა ბებერი. დილაზე ძიუური სახლიდან დაბალ სკამს ოხვრით გამოიტანდა, ღობის ჩრდილში მიუჯდებოდა, ყველაზე უმცროს შვილთა შვილის შვილს გვერდით მოისვამდა და ძველ ამბებს მოუყვებოდა. იოჰანი გაკვირვებით შესცქეროდა პეპერას, დინჯად უგდებდა ყურს და მის ნაამბობს გულში იბეჭდავდა.

მოხუცს ბევრი უამბნია სამშობლო კუთხეზე, სადაც ჭაბუკობის დღეები გაეტარებინა, სიყვარულით იგონებდა შვაბიის გორაკებს და ფიჭვნარით დაფარულ ტყეებს, მერე ოხვრით ჩაიქნევდა ხელს და თვალს ასურეთის მიდამოს მოავლებდა, თითქოს იქაურობას მამა-პაპათა მხარეს ადარებსო.

პეპერა თვითონ ყოფილა იმ საშინელი მგზავრობის მონაწილე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ გერმანიიდან აყრილმა უმიწაწყლო გლეხებმა და ხელოსნებმა განიცადეს. რუსეთისაკენ წამოსვლის წინ, ვიურტემბერგის სამთავროში გაუქმდა ბატონებისაგან გლეხთა პირადი დამოკიდებულება. მაგრამ ამ აქტით გლეხობის მიერ მიწის გამოსყიდვა სავალდებულო როდი იყო. იგი ბატონის სურვილზე დარჩა დამოკიდებული. ბატონის სურვილით კი გლეხები კვლავ უმიწაწყლოდ დასტოვეს.

და აი ამ უმიწაწყლოთა მთელმა სოფლებმა გადასწყვიტეს სხვაგან ეძიათ მიწაწყალი. ვიურტემბერგის მთავარს ეს არცა სწყენია. პირიქით: უნდოდა კიდეც მათი თავიდან მოშორება. იმ დროს რუსეთის მეფე ალექსანდრე I ეკატერინეს გზას ადგა და გერმანელებს რუსეთში იწვევდა. ვოლგა უკვე დასახლებული იყო გერმანელი კოლონისტებით. და როცა 1817 წ. გლეხთა ახალი ტალღა წამოვიდა შვაბიიდან, იგი სამხრეთ რუსეთში, — კერძოდ კავკასიაში გამოგზავნეს.

შვაბელი გლეხები მეტად მართლმორწმუნე ქრისტიანები იყვნენ. მღვდლებმა ხმა გაავრცელეს: ქრისტე უნდა გაცოცხლდეს და თავის საყვარელ ადგილს — იერუსალიმს დაუბრუნდესო. და ვინც მას იერუსალიმში შეხვდება, ის სამუდამო სამოთხეს დაიმკვიდრებსო. უმიწობას და სილატაკეს ეს სარწმუნოებრივი უვიცობაც დაემატა და გლეხები ადვილად დათანხმდნენ მიეტოვებინათ სამშობლო მხარე და იერუსალიმისაკენ დაძრულიყვნენ.

გაზაფხულზე 1400-მდე ოჯახი დაიძრა, მდინარე დუნაის ნაპირებს ტაატით მიჰყვებოდნენ გემები, ლატაკები და უმიწაწყლონი უკანასკნელად ელერსებოდნენ და ეთხოვებოდნენ სამშობლო მხარეს. ჯერ კარგად მიდიოდა მგზავრობა, მაგრამ მალე ხალხს ავადმყოფობა დაერია. გზაზე ორი ათას სულამდე დაიხოცა, ზოგი ბესარაბიაში და ზოგიც ოდესაში. ბევრი გზაზე ჩამორჩა და სხვადასხვა კუთხეს შეეხიზნა. ამ ხეტიალში დარწმუნდნენ ისინი, რომ არავითარი ქრისტე არ აპირებდა გაცოცხლებას და ვერც იერუსალიმის ამქვეყნიურ „სამოთხეს" მიაღწევდნენ. ლეგენდა გზაში გაქრა. დარჩა მხოლოდ მწარე სინამდვილე.

როცა 1818 წ. სექტემბერს სავსებით გალატაკებულებმა და უსახსროებმა ტფილისს მოატანეს, მხოლოდ აქ დაინახეს, თუ რა „სამოთხე" მოუმზადეს მათ ვიურტემბერგელმა მთავრებმა, სამღვდელოებამ და ალექსანდრე პირველმა.

იმ 72 ოჯახში, რომლებმაც სამოსახლოდ ტფილისის ახლოს აირჩიეს პაწია მდინარის ასურეთის მიდამოები, იოჰანის პეპერაც ერია.

მაშინ აქ გაუვალი ტყე იყო და უკაცური მიდამო. მიწას ადამიანის ხელი არ ეკარებოდა. ერთადერთი მჭედელი იდგა განმარტოებით, მდინარის გაღმა გორაზე. მისი სამჭედლოს წინ გადიოდა მახლობელი სოფლების გზა. ეს სოფლები კი ქართველ თავადებს ეკუთვნოდათ. ქვევით, პაწია ხევის ბოლოს, სადაც ასურეთი და ალგეთი ერთმანეთს ეკონება, მარაბდელი თავადი ზაალ ბარათაშვილი ფაფხურობდა. იქით, ქედს გაღმა მეორე ბარათოვი სჭამდა ხალხს. ორივეს მატრაკვეცა სავინოვი ეჯიბრებოდა, ხოლო საწყალი გლეხები — წინწყაროელი, მარაბდელი, ვაშლოვანელი გლეხები — წელში წყდებოდნენ.

შილინგების ოჯახს სოფლის თავში მოუზომეს პაწია სამოსახლო მიწა. აქ ჩაეყარა საძირკველი მათ კერას. უკვე ყმაწვილ იოჰანს არ ახსოვს სახლობის ამბები. სახლში არ გაუტარებია ეს ხანა, — მამასთან ერთად მდიდარ მემამულე აიხოლცთან იყო მოჯამაგირედ. მისი ტოლა ბიჭები, ვინც სხვის კარზე არ მუშაობდა, ზოგი ქალაქში დადიოდა სამათხოვროდ, ზოგი მახლობელ სოფლებში. გოგოები კი ზამთარს ქალაქში მიდიოდნენ და ხელზე მოსამსახურეებად დგებოდნენ.

— აიხოლცთან ფურგონზე ვმუშაობდი. ძველ ტანსაცმელს მაცმევდა და ნასუფრალს მაჭმევდა, მეტი მისგან არაფერი მახსოვს. ამ უბედურების, გარდა, — ნაღვლიანად სთქვა იოჰანმა და სევდით ალისავსე თვალი მარცხენა ფეხს შეავლო. ეს ფეხი აიხოლცთან მოიტეხა 21 წლის ახალგაზრდამ. მემამულემ მის საექიმოდ კაპეიკი არ გაიმეტა. მამამისს კი გონშიც არ ჰქონდა, რომ შვილი ქალაქში ჩაეყვანა და წამლობაში ფული ეძლია. ვერაფერი უშველა იოჰანმა ფეხს და სამუდამოდ დაკოჭლდა. გული მოუკვდა ახალგაზრდა კაცს. დასევდიანდა, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს.

ამ ხანებში სოფელში ყაზახები ჩააყენეს. საქართველო უკვე პირველი რევოლუციის ცეცხლში იყო გახვეული. შეეშინდა მეფის მთავრობას და გერმანელ მოსახლეობასაც არ მოაკლო „მოწყალება": ყოველ ოჯახს ორ-ორი, სამ-სამი ყაზახი ჩაუსახლა.

— ჩვენთანაც ცხოვრობდნენ ისინი, — ამბობს იოჰანი. თუ სადმე იხელთებდნენ ღვინოს ან არაყს, მაგრად გამოთვრებოდნენ, მერე გავიდოდნენ სოფელში და ქალებს დაერეოდნენ, გაუთავებელი წივილ-კივილი და მოთქმა იყო.

ერთი ასეთი შემთხვევის დროს გაეცნო იოჰანი ახალგაზრდა მარიამ ილჰს და მალე კიდეც შეირთო ის.

არაფერი არ მოეძებოდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს. მამა ქრისტიანე უკვე მოხუცებული იყო და ველარ მუშაობდა. ნახევარი ჰექტარი ვენახი იყო იოჰანის იმედი. მაგრამ მისი შემოსავალი ვის უნდა ჰყოფნოდა, ადამიანებს, თუ ათასგვარ გადასახადს. ხვავი და ბარაქა არაფერს ჰქონდა. მეზობლობაშიც, თუ ვინმე ხეირიანი და გამოსადეგი ვაჟკაცი იყო, ვისი დახმარების იმედიც ექნებოდათ, ყველანი ჯარში წაიყვანეს. სოფელი დაცარიელდა ახალგაზრდებისაგან. ყველაფერ ამას გაუძლებდა კაცი, რომ სოფელს ახალი თავზარდამცემი ამბავი არ გაეგო.

მეზობლის — კუგელის ბიჭი ხშირად იწერებოდა ფრონტიდან, რუსეთში მოსახლე გერმანელებს ერეკებიან თავიანთ სოფლებიდან და ციმბირში ასახლებენო, მაგრამ აქ არ სჯეროდათ, თუ მათაც ამ დღეს გაუთენებდნენ. არ ეგონათ, თუ საქმე იქამდე მივიდოდა, რომ იოჰანს და მის მეზობლებს მეფის მთავრობა ჯაშუშობას დააბრალებდა მაშინ, როდესაც მათი საუკეთესო, რჩეული ბიჭები მეფის ჯარში იბრძოდნენ გერმანიის წინააღმდეგ.

მაგრამ ვინ გაიკითხა სიმართლე! იანვარში გამოუცხადეს სოფელს: 15 მარტს ყველანი უნდა აიყაროთ აქედან და ციმბირისაკენ გასწიოთო. არა თუ ქონების წაღების, პირუტყვის წაყვანის ნებასაც არ აძლევდნენ. მთელი სოფელი აფორიაქდა. მთელი დღე გულმკვდარი, გარეტიანებული დადიოდა იოჰანი. არავითარი იმედი არ ჰქონდა, რომ გასჭრიდა ის თხოვნა, რომელიც სოფლის სახელით გაუგზავნეს სენატს. ვერც გასჭრა: მალე თხოვნა უკანვე დააბრუნეს წარწერით: „არ განიხილება, რადგან სენატს უკანონოდ გამოუგზავნესო".

იოჰანი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს: განკარგულება სისრულეში იქნებოდა მოყვანილი. და მართლაც შავად გათენდებოდა 15 მარტი ასურეთში, რომ თებერვლის რევოლუციას არ მოესწრო და თვითმპყრობელობა არ დაემხო.

იმ დღეს, ეს ამბავი რომ გაიგეს, სოფელში საერთო სიხარული და ხვევნა-კოცნა იყო. უხაროდათ ციმბირის ყინულოვან ტრამალებში ტანჯვას რომ გადარჩნენ.

მაგრამ დიდხანს არ გასტანა ამ სიხარულმა. მალე სოფელს მენშევიკური გვარდიის რაზმი მოადგა. ააწიოკეს და ააოხრეს იქაურობა გვარდიელებმა.

— ჩვენი საშველი არ ყოფილა — ამბობდა შილინგი და იმ [illegible] უყვებოდა მეზობლებს, თუ როგორ გაძარცვეს ის გვარდიელებმა სოფელ თელეთთან, როცა ქალაქიდან ბრუნდებოდა.

— თქვენ რათ ყიდულობთ ქალაქში საქონელს, ეს ჩვენი ქალაქია და არა თქვენიო, ცივად მიახრეს გვარდიელებმა (ისინი სამნი იყვნენ). ფურგონიდან ამოალაგეს შაქარი და ფართალი, თუ გავამხელდით — სიკვდილსაც შეგვპირდნენ და გამოგვისტუმრეს. ერთხელაც კარტოფილი წაართვეს იოჰანს, როცა ქალაქში ჰქონდა გასაყიდად.

ამას კიდევ აიტანდა კაცი, რომ ბოლოს გვარდიელებს არ წაეყვანათ ოჯახის მარჩენალი ორი ცხენიც, რომელიც სიმწრით ჰყავდა შეძენილი.

— ესენი კაზიონია, შენ ვინ მოგცა! — შარი მოსდევს იოჰანს და ცხენები გზას გაუყენეს. ველარ მოითმინა იოჰანმა ამდენი ძარცვა-შეურაცხყოფა და ერთ გვარდიელთაგანს მაგარი სილა გააწნა, რაც ორი თვის პატიმრობად დაუჯდა.

ორი თვის შემდეგ კი იოჰანი ცხენებიანად დაბრუნდა შინ. სოფელში უკვე საბჭოთა ხელისუფლება დახვდა.

2. ხანძარი!

კერძო მეურნეობაში იოჰანესმა სიხარული ვერ ნახა. მოსავალი არ ჰყოფნიდათ. ცხენების საკვებში მიდიოდა მისი დიდი ნაწილი. ადამიანები კი მართალია წინანდელზე უკეთ, მაგრამ მაინც ღარიბად ცხოვრობდნენ. სოფელში 80-მდე ასეთი ღარიბი ოჯახი იყო. როგორც შილინგები, ისე პატიოსნად მუშაობდნენ ისინიც, უკეთესს ცხოვრებაზე ოცნებობდნენ, მსჯელობდნენ, გამოსავალს ეძებდნენ.

და ბოლოს ნახეს კიდეც.

ეს იყო 1928 წელს.

ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ მერცხალმა პირველად გადაუქროლა ასურეთს და გაზაფხულის სიო მოიტანა. მთის ფერდობებზე თეთრად ჩამწკრივებულ სახლებში ბრიალა მზემ შეანათა.

მაგრამ მზისთვის ოტო კოხს დაუსწრო. ტრაქტორები გულმოდგინედ გაესინჯა და სამუშაოდ მომზადებული ამხანაგებს ელოდებოდა. მისი ენერგიული და მუდამ მხიარული სახე სიხარულით იმ დღეს უფრო ანთებულიყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაში გაერთიანებულმა მეზობლებმა თავი მოიყარეს და მხიარული სიმღერით მდინარე ასურეთის ჭალებისაკენ გაემართნენ. მათ მოდარდვარე ტრაქტორები მიუძღოდათ წინ და მაღალ მთიდან გადმომდგარი მზე გზას უნათებდა. შილინგი ტრაქტორისტის გვერდით მოკალათებულიყო და ქერა წარბებქვეშ ღრმად ჩამჯდარი თვალები სიხარულით უციმციმებდა. მარიამი ფურგონზე იჯდა, ჩალის ქუდი ქოლგასავით ეხურა და ქალებთან ბაასობდა.

დღეს განსაკუთრებული სიხარულით აანთებს წყეულ წარსულში ნატანჯი ასურელთა გული. მაგრამ სოფელში ყველა როდი მხიარულობს. კულაკი იაკობ ოსვალდი წინასწარ გრძნობდა მოახლოვებულ უბედურებას და ყელში მოწოლილი ბრაზი ახრჩობდა. ის თავის ორსართულიანი სახლის აივნიდან გადმომდგარი ზიზღით გაჰყურებდა თემშარაზე მიმავალ გლეხებს. მისი სახლი ფართლოლალა ქოხებს ამაყად გადაჰყურებდა. ტრაქტორის გუგუნი ოსვალდს გულში ისრად ხვდებოდა. ის ცოფმორეული ძაღლივით შფოთავდა და ათასგვარ ბოროტ-გეგმას ადგენდა.

— ტრაქტორები შეიძინეს, მაგრამ სახნავ-სათესი მიწების გაერთიანება და საზღვრების მოშლა რა ჭკუაში დაუჯდებათ? არა, ეს რაღაც კარგის ნიშანი არ არის და თუ ასე გაგრძელდა, ჩემი საქმე ცუდად წავა. ისინი ჩემს მიწასაც მალე შეიერთებენ, თორემ სხვას ვის ჩივის! ფიქრობდა ის. მერე ღვარძლიანად ჩაირბინა კიბე და შარაზე გავიდა. მიდის იაკობ თემშარაზე, მიჰყვება ტრაქტორის კვალს და გრძნობს, თითქოს მიწას კი არა, გავარვარებულ ლითონს ადგამდეს ფეხს.

მეორე დღეს, მუშაობის დამთავრების შემდეგ ოტომ მხარზე ხელი დაჰკრა იოჰანს და ღიმილით უთხრა:

— ხომ კარგია ტრაქტორი, ერთიორი კიდევ რომ გვყავდეს, ჭალას კი არა, მთებსაც გადავხნავთ!

— კარგი ცხენებია — უპასუხა იოჰანმა. შილინგის პასუხზე სხვებმა გადაიხარხარეს. შილინგმაც გულიანად გაიცინა და მოჰყვა: წინათ ტრაქტორი კი არა, გუთანი მენატრებოდაო. თოხის საყიდლად ფეხით ტფილისში ჩავდიოდი ეგების იაფად მეშოვნაო.

სასოფლო სამეურნეო ამხანაგობაში ორი წელი ასურეთელმა ღარიბებმა კარგად გაატარეს. შემდეგ კი კოლმეურნეობის ჩამოყალიბების საკითხი დაისვა.

იოჰანის ცოლი, ნამდვილი მშრომელი ქალი, მაშინ სასოფლო საბჭოს წევრი იყო. კოლექტივის საკითხი პარტორგანიზაციაში და სოფლის საბჭოში პირველად დაისვა. ცენტრიდან ჩამოსულმა კაცმა ერთ საათს ილაპარაკა კოლმეურნეობის უპირატესობის შესახებ, მაგრამ ზოგს არ ეჭაშნიკა მუშა-საქონლისა და საწარმოო იარაღების გაერთიანება. და ჰა, როცა ოტო კოხი მისთვის ჩვეული რიხითა და სიტყვით გამოვიდა, დამსწრეებმა კმაყოფილად ერთმანეთს გადახედეს.

— კარგია! — ტაში შემოჰკრა ემანუელ ბრაუნმა და მას სხვებიც აჰყვნენ.

მარიამი შინ გვიან დაბრუნდა, კარებში ქმარმა საყვედური შეაგება.

— რატომ დაიგვიანე?

— ქვეყნის ამბავი გადავწყვიტეთ! —მოკლედ მიუგო ქალმა და ცეცხლი გააჩაღა საჭმლის გასაცხელებლად. იოჰანი გააოცა მარიამის უცნაურმა პასუხმა და ხელმეორედ შეეკითხა ცოლს.

— რას ამბობ ქალო, ქვეყნის საქმის გადაწყვეტა შენ ვინ მოგანდო?

მარიამი დაწვრილებით მოუყვა კრებაზე ნახულსა და გაგონილს, განსაკუთრებით ოტოს სიტყვები გადასცა ქმარს, რადგან იცოდა, რომ სოფელში ყველაზე მეტად ოტოსი სჯეროდათ.

— ემანუელმა რა სთქვა? — შეეკითხა იოჰანი.

— ოტოს შემდეგ ისიც ჩაეწერა კოლმეურნეობაში. ახლა ჯერი შენზეა. ხვალ დილით ოტოსთან უნდა მიხვიდე — გადაწყვეტით უთხრა მარიამმა.

იმ ღამეს ბევრი ილაპარაკეს კოლმეურნეობაზე. თითქმის თეთრად გაათენეს ღამე და დილით, როცა მთებიდან გადმორეკილი ნისლი იფანტებოდა, იოჰან გაუბედავად მიადგა სოფლის საბჭოს კარებს.

— იოჰანს გამარჯვება — ომახიანად შესძახა ოტომ და ხელი მაგრად ჩამოართვა — ეწერები?

— შენ ჩაეწერე? — შილინგმა იცოდა, რომ კოხი პირველად ჩაეწერა კოლმეურნეობაში, მაგრამ მაინც ჰკითხა.

— რა საკითხავია! — მოკლედ მოუჭრა ოტომ.

— აბა, მეც მთელი ოჯახით ჩამწერე — დაჯერებით და გადაწყვეტით წარმოსთქვა შილინგმა.

მალე კოლმეურნეობის ამბავი მთელს სოფელს მოედო. კულაკი იაკობ ოსვალდი ტყავში ველარ ეტეოდა. მაგრამ რა ექნა! ხალხის სურვილს წინ ხომ ვერ გადაუდგებოდა. ღამით, როგორც შემპარავი ძაღლი, ისე დაძვრებოდა სახლებში და ათასგვარ ჭორს ავრცელებდა. ერთხელ მან იოჰანს გზა გადაუღობა და დაემუქრა.

— შენ, ჰეი, შილინგო! გაზაფხულის პირველი კვირტის გამოსვლისთანავე შენი კოლექტივი გაქრება.

არ გაქრა. პირიქით, კოლმეურნეობა უფრო გამაგრდა.

ინათებდა თუ არა, იოჰანი და მარიამი შვილებთან ერთად გასწევდნენ მინდვრისაკენ. ერთ საღამოს, როცა ტყვიისფერი ციდან გაზაფხულის სავსე მთვარე ამაყად დაჰყურებდა მოხნულ მინდვრებს, კოლმეურნეებს კრება მოეწვიათ და საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდნენ. ოტოს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა მოხსენება, როცა მახლობელ ორღობეში ცეცხლის ალი ავარდა.

— ხანძარი! იყვირა ვილაცამ. სადღაც თოფიც გავარდა. ძაღლებმა აშინებული ყეფა ასტეხეს. მთელმა სოფელმა ემანუელ ბრაუნის ჭიშკართან მოიყარა თავი. მისი ბოსლის ლობიდან და თივის ზვინებიდან ავარდნილი ალი ზეცას ლოკავდა.

— ეგით რომ ვერაფერს გახდნენ, ახლა ცეცხლით შემოგვიტიეს! გაიფიქრა თავისთვის შილინგმა და სხვებთან ერთად შეუდგა ცეცხლის ჩასაქრობად წყლის ზიდვას. ნაშუაღამევს, როგორც იქნა, ხანძარი ჩააქრეს. შემდეგ ბევრი ეძებეს, მაგრამ ბოროტმოქმედის კვალს ვერ მიაგნეს. იქვად კი ამბობდნენ, იაკობ ოსვალდი და მისი ამქრების საქმეაო, მაგრამ ამის საბუთი ხელში არავის ჰქონდა. მეორე დილით კოლმეურნეები რომ სამუშაოდ გავიდნენ, მინდორში დასობილი ფიცარი ნახეს. ფიცარზე ქაღალდი მიეკრათ და ქაღალდზე დიდი ღორი დაეხატათ. ღორზე კოხი იჯდა, წინ ბრაუნი მიუძღოდა, ქვევით კი ეწერა: „თავი დაანებეთ კოლმეურნეობას, თორემ ყველანი სიცოცხლეს გამოესალმებითო". ოტოს გაეცინა, ფიცარი მოაძრო და გადააგდო. ამის შემდეგ კლასობრივი მტრები მრავალჯერ შეეცადნენ კოლმეურნეობის მუშაობის ჩაშლას, მაგრამ რა დაუდგებოდა წინ იმ აზვირთებულ ტალღას, რომელიც ძველი სოფლის უვიცობას და სიღარიბეს წალეკვას ემუქრებოდა.

3. სიღარიბე ლექსიკონიდან ამოიშალა

გამთლიანდა შილინგის ცხოვრება. მას და მის მეზობლებს მთელი წლის სარჩო პური არასდროს არ მოუყვანიათ. კოლმეურნეობაში კი პირველი წლის მოსავალმა უხვი კალთა დაბერტყა და ბეღლები დოვლათით გაივსო. სხვა სურსათს თავი რომ დავანებოთ, იოჰანმა მარტო ასი ფუთი პური და 500 ვედრო ღვინო მიიღო. ასევე მიიღეს დანარჩენებმაც. ბებერმა ძაღლმა იაკობ ოსვალდმა ეს რომ გაიგო, სიბრაზე უფრო მოაწვა გულზე და როგორც კოლმეურნენი გადმოგვცემენ, ამ ბრაზს გადაჰყვა კიდეც.

— შილინგმა, კოხმა, კენკებაშვილმა ბეღელი გაივსეს, ჩვენ რა მოგვივიდა? ერთმანეთს ეკითხებოდნენ კოლმეურნეობის გარეთ დარჩენილები.

— ნეტავი ჩვენც შევსულიყავით! —შენიშნა ერთმა.

— შენ ოსვალდის პროვოკაციას აჰყევი! — სიტყვა ჩაუკრა მეორემ.

მალე ურწმუნონიც დარწმუნდნენ და მთელი სოფელი კოლმეურნეობად გაერთიანდა (გარდა 4 კომლისა).

გავიდა ორიოდე წელი და ასურეთში სიტყვა „ღარიბი" ამოვარდა ლექსიკონიდან...

კარლ მარქსის განიერ ქუჩაზე, წითელ, ყვითელ და ცისფერ ყვავილებით აფერადებულ № 13 ეზოში ახლადშელესილი სახლი ლამაზად გამოიყურება. თითქმის მთელ ეზოს კაკლის უზარმაზარი ხე ჰფარავს. მის ტოტებ ქვეშ აკაციის, ლეღვისა და დაფნის ხეები ხარობენ. სახლი ახალია და ამ ახალ სახლში ახალი ადამიანები ახლებურად ცხოვრობენ. ძველი სახლი შეაკეთეს, მას დასავლეთით ორი და აღმოსავლეთით ერთი ოთახი მიაშენეს, იატაკი დაგეს, ოთხოთახიან სახლში დღეს საამურად ცხოვრობს იოჰან შილინგის ოჯახი, რომელმაც შარშან 1487 შრომადღე გამოიმუშავა. შილინგს წინათ როიალი კი არა, უბრალო გარმონიც არა ჰქონდა. ახლა კი კოლმეურნეობიდან რამდენიმე ათასი მანეთი მიიღო და ოთხი ათასად როიალი შეიძინა. უფროსმა ვაჟმა ვილჰელმმა, მოტოციკლი იყიდა, ხოლო უმცროსმა ოტომ ველოსიპედი.

სახლის ყველა კუნჭულიდან სიღარიბე განიდევნა და მისი ადგილი როიალმა, შიფონერებმა, შკაფებმა, საკერავმა მანქანამ, კოსტუმებმა, ხალიჩებმა და წიგნებმა დაიჭირა. კედლები ბელადების პორტრეტებმა დაამშვენა. სახლის განიერ ფანჯრებში მზე შეიჭრა და ყველა ოთახი გაანათა. დედმამა და შვილები ტკბილად, შეწყობილად და საამურად ცხოვრობენ. მათ საკარმიდამო მიწაზე ბაღი გაუშენებიათ, ჰყავთ სამი ძროხა, 3 დედალორი და შინაური ფრინველი.

იოჰანიც გაახალგაზრდავდა.

შარშან იოჰან შილინგის ოჯახმა მიიღო: 4628 ლიტრი ღვინო, 3148 კილოგრამი მარცვლეული, 581 ლიტრი არაყი, 3564 კილოგრამი კართოფილი. 488 კილოგრამი ხილ-ბოსტნეული და 6250 მანეთი ფულად. და განა მარტო შილინგი, კოხი, კუგელი ან კენკებაშვილი ცხოვრობენ ასე? არა, მთელი ასურეთის კოლმეურნენი, გარდა რამოდენიმე ახლად მიღებული წევრისა, დღეს შეძლებულად ცხოვრობენ, ყველა კარგად მუშაობს და ყველა ბლომად ღებულობს.

ვინც ამ 2-3 წლის განმავლობაში ასურეთში არ ყოფილა, ის დღეს ვერც კი იცნობს სოფელს. განიერი და ლამაზი ქუჩების ორივე მხარეს თეთრი აივნიანი სახლებია ჩამწკრივებული. მდინარის პირად ფერდობზე ლამაზად მოწყობილ კულტურისა და დასვენების პარკს ორი ჰექტარი უჭირავს.

კოლმეურნეობას ხუთი სატვირთო და ერთი მსუბუქი ავტომობილი ჰყავს, რომლითაც გადააქვთ სურსათ-სანოვაგე და საკოლმეურნეო დოვლათი.

მსუბუქმა მანქანამ ასურეთლებს მარტში ყველაზე უფრო საყვარელი და საპატიო ადამიანი ჩამოუყვანა. ეს იყო საქართველოს დელეგაციის წევრი ორდენოსანი ერნსტ კუგელი, რომელსაც ტფილისში შეხვდა ამხ. ოტო კოხი და ღამით ასურეთში ჩაიყვანა.

იმ ღამით მთელი ასურეთი დროშებითა და მაშხალების ალით იყო განათებული. შეხვედრა კი არა, ნამდვილი ზეიმი იყო. ოტო თვითონ მართავდა მანქანას და სიხარულით მიაქროლებდა ამ ბრგესა და სახეგაბრწყინებულ ადამიანს.

— ერნსტ, ერნსტ! გაიძახოდნენ კოლმეურნენი და კუგელი ვერ აუდიოდა საყვარელი ამხანაგების ხელის ჩამორთმევას და ხვევნა-კოცნას, ის ღამე სიმღერაში, ქეიფსა და ცეკვაში გაატარეს.

— ერნსტ, შენ ხომ დიდ სტალინს სიტყვა მიეცი, ჩვენ მზადა ვართ მის შესასრულებლად! შესძახოდნენ ძვირფას ამხანაგს.

პატიოსანი საკოლმეურნეო შრომა შეძლებული ცხოვრების საფუძველია. სურათზე: (მარცხნიდან): 1. იოჰან შილინგი ყურძენს კრეფს. 2. იოჰანის უმცროსი ვაჟი—ოტო მოტოციკლეტით მიდის სამუშაოზე. 3. შარშან ოჯახმა როიალი შეიძინა. რძალი ელა ხშირად ართობს ხოლმე ოჯახს. 4. ჰენრიხ კუგელი, მე-11 ბრიგადის ხელმძღვანელი, ყურძენს კრეფს. ფოტო რ. კოროტოვის

ფოტო რ. კოროტოვის

ჰენრიხ კუგელის ბრიგადა ყურძნის კრეფაზე. მარჯვენივ კალათით ხელში: იოჰან შილინგი.

4. ციცინათელების ღამე

ამ დღიდან იოჰანმა და ყველა კოლმეურნემ ერთიათად უმატეს შრომას. ვენახებსა და პურის ყანებში გუგუნებდა ახალი შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრების სიმღერები. ლექსებიც კი გამოსთქვეს კოლმეურნეებმა, ახალი ლექსები, სადაც უბრალოდ, გულწრფელად გადმოსცემენ თავიანთ განცდებს და სურვილებს...

ჩვენ შეუმჩნევლად შევედით მეთერთმეტე ბრიგადის ვენახში. შავი და ოქროსფერი მწიფე მტევნებით დახუნძლული ვაზები წელში იზნიქებიან. ზოგი მტევანი კილონახევარს, თუ ორ კილოს იწონის. რთველი დღეს დაიწყო და გახურებული კრეფაა. ქალები და მამაკაცები ლამაზი კალათებით სწრაფად ეზიდებიან ყურძენს, ფურგონს ტვირთავენ და სარდაფისაკენ ისტუმრებენ.

იოჰან ნაკვეთის ნაპირას ჩაცუცქებულა, ფეხთან კალათი მოუდგამს და გამალებით ჰკრეფს. თან ჩუმად ღიღინებს შვაბურ კილოზე რაღაც სიმღერას. მივესალმეთ, პასუხად, მან ხელთან ერთად ყურძნით სავსე კალათა მოგვაწოდა და თან დააყოლა:

— გასინჯეთ, ამ წლის საკოლმეურნეო დოვლათია.

მართლაც რომ შესანიშნავად მოვლილი ვენახია. მოსავალიც კარგია. მაგრამ ახლა ყურძენი კი არ გვაინტერესებდა იმდენად, უფრო იოჰანის სიმღერა გვაკვირვებდა. იგი იშვიათად თუ უნახავთ მომღერალი, მუშაობისას ხომ ხმასაც არ ამოიღებდა. ახლა კი წყნარად მოღიღინებს რომ შევეუსწარით, თითქო შერცხვაო, წითურ სახეზე ფერმა ოდნავ გადაჰკრა და ჩვენს თხოვნაზე, სიმღერა გაემეორებინა, გულიანად გაიცინა.

— რა მომღერალი მე მნახეთ. სიმღერა თუ გინდათ, ბერტასთან წადით, ის არის მაგის ოსტატი. რაც კი ახალი ლექსებია, ნახევარი მისი მოგონილია.

მაინც არ მოვეშვით და როგორც იყო ამოვათქმევინეთ რამდენიმე სიტყვა.

...საღამოს, ასე ექვსი საათი იქნებოდა, როცა საბჭოთა სამტონიანით სოფელში მოგრიალდა ჰენრიხ კუგელის ბრიგადა. იოჰანი ჭაბუკივით გადმოხტა მანქანიდან. მას ცოლიც გადმოჰყვა და ორივემ სახლისაკენ გასწიეს. შვილები და რძალი შინ დაუხვდათ. ვილჰელმს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის შოფერს, დღეს ადრე მოეთავებინა მუშაობა და შინ გორკის „დედის" კითხვას შესდგომოდა. ჰენრიხი, ისიც შოფერი, მოსკოვის გერმანულ გაზეთს ათვალიერებდა.

იგი პირველად ყოველთვის გერმანიის ამბებს მოსძებნიდა ხოლმე და გულმოდგინედ ამოიკითხავდა, რადგან შემდეგ მამისათვის უნდა ეამბნა ყველაფერი. ახლაც, შევიდა თუ არა იოჰანი სახლში, ჰენრიხმა ახალი ამბავი შეაგება.

— ჰიტლერს მორიგი სისულელე უთქვამს, მამაჩემო — უთხრა მან.

— აბა, აბა, ერთი მიამბე.

ჰენრიხმა ყველას გასაგონად წაიკითხა ჰიტლერის სიტყვა ჰანოვერში გამართულ მოსავლის დღესასწაულზე. ხორცის და კარაქის ნაცვლად ამ დღესასწაულზე ყუმბარები და ზარბაზნები გამოფინეს. კვერცხის და ყველის ნაცვლად თვითმფრინავები და მახრჩობელა გაზები აჩვენეს.

იოჰანს ყოველთვის აინტერესებდა გერმანელი გლეხების ცხოვრების ამბები. ამასწინათ, მათთვის რომ შეეტყობინებინათ თავიანთი ცხოვრების ამბავი, კოლექტიური წერილი გამოაქვეყნეს მოსკოვის „ცენტრალურ გერმანულ გაზეთში" ახლა კი, როცა შვილი უკითხავდა მოსავლის დღესასწაულის ამბებს, იოჰანს ულვაშებში ეღიმებოდა.

— ჰმ! მოვიდნენ და ჩვენი მოსავალი ნახონ. მერე გაიგებენ, რა ბიჭებიც არიან! — ჩაილაპარაკა მან და შვილს ხელმეორედ წააკითხა ჰიტლერის სიტყვები. იგი ასე მიმართავდა გერმანელ გლეხს: „შენ, გერმანელო გლეხო, არ გაბედო სთქვა: მე დღეს ვიფიცები, მე მეტს არ ვიმუშავებ. შენ ვერ უნდა ჰბედავდე განაცხადო: მე არ ჩავაბარებთ რძეს".

— და ამის შემდეგ ისინი გაჰყვირიან, გლეხები საბჭოთა კავშირში შიმშილობენ და გაჭირვებული არიანო. მაგრამ რა ხალხი არიან და რა პირი აქვთ მათ, რომ სინდისმა შეაწუხოს! —დინჯად ამბობს იოჰანი და მეორე ოთახში გადის.

მალე ვილჰელმმა წიგნის კითხვა მიატოვა და წასასვლელად მოემზადა.

— საით? — შეეკითხა ელლა.

— შორს არსად, აქვე სოფელში, ჯერ დედას გავასეირნებ მოტოციკლით, მერე კი შენ!

მალე ეზოში მოტოციკლი აგუგუნდა. მხიარული მარიამი კიბეზე დაეშვა და შვილს გვერდით მოუჯდა. ჰენრიხმა ველარ მოითმინა ვილჰემმა რომ სასეირნოდ გასწია და თავისი ველოსიპედი გამოიტანა.

ხვალ კვირა იყო და სოფელი წინა საღამოსვე შეუდგა გართობას და მხიარულებას.

ქუჩიდან გარმონის ხმა მოისმა. შუაქუჩაში ათიოდე ახალგაზრდა მოდიოდა, ერთს ხელში გარმონი მოემარჯვებინა და წინ მოუძღოდა. „მხიარული ახალგაზრდობის" ანკარა და მიმზიდველი ჰანგები წყნარად იშლებოდა ფართო ქუჩაში და [illegible] ეფინებოდა. აქა-იქ ჭიშკარში გოგოებმა მალულად გამოიჭყიტეს და ისევ გაუჩინარდნენ.

კლუბთან დახურული ავტომობილი მოგრიალდა. ეს — ქალაქიდან ხმოვანი კინოსურათი „ცირკი" ჩამოიტანეს და ამაღამ უჩვენებენ.

ამ დილით ეს ქუჩა თითქმის ცარიელი იყო (სამუშაო დღეს სოფელში კაცის ჭაჭანება არაა საერთოდ). ახლა კი იგი თანდათან ხალხით ივსებოდა. ზოგი კლუბში მიდიოდა, ზოგი კულტურისა და დასვენების პარკში. პარკიდან უკვე კარგა ხანია ისმოდა სასულე ორკესტრის მიმზიდველი ხმა და პარტიზანულის მებრძოლი ჰანგები.

სოფელი ჭრელი კაბებით, ახალი კოსტუმებით და გალსტუკით დამშვენებული ადამიანებით აივსო. იოჰანი და მისი სიყრმის ამხანაგები კოლმეურნეობის კანტორასთან შეჯგუფებულიყვნენ და სიამოვნებით, სიყვარულით ადევნებდნენ თვალს ამ გაახალგაზრდავებულ სოფელს, ალბათ გუნებაში თავიანთი მწარე ჭაბუკობის წლებსაც იგონებდნენ.

— როგორ მოგწონს, იოჰან, ეს ახალგაზრდობა, ჰგავს თუ არა ძველს?

—შევეკითხეთ ჩვენ.

— ეჰ, რა შედარებაა, ჩვენც გავახალგაზრდავდით, თორემ მაგით ხომ ბედნიერი დღე დაუდგათ. ცხოვრება მართლაც რომ ღირს ახლა — იოჰანის მაგივრად გაბრწყინებული თვალებით გვიპასუხა ჰენრიხ კუგელმა და ამხანაგებს გადახედა.

მიდამო უეცრივ აბრჭყვიალა ელექტრონის შუქმა. სინათლის ათას წერტილით განათებული სოფელი, როგორც სარკეში, ისე მოსჩანდა მდინარის გაღმა მთვარით განათებულ გორაკის ფერდობზე.

ატეხილ ჭალებს და გორაკებს ოქროს წვიმად ეყრებოდა სხივთა კონები და ღამეს ციცინათელასავით აციმციმებდა.

ვ. მზაღობლიშვილი
კლ. გოგიავა

სოფ. ასურეთი,
8 ოქტომბერი.

ფოტო — აპარატით ასურეთის მილიონერ კოლმეურნეობაში

ფოტო რ. აკოფოვის

—დილაა. კოლმეურნე ქალები სამუშაოდ მიდიან. ახალგაზრდა [illegible] ცხენებს მირეკავს.

ეს ასურეთის მთავარი ქუჩაა. მომავალ წელს მას ასფალტი დაეფარება.



კოლმეურნეობის ღვინის სარდაფი [illegible], რომელიც 12.000 დეკალიტრს იტევს. კოლმეურნე [illegible] ამზადებს კასრებს ახალი ღვინისათვის.



შენდება აბანო. ახალ ხანში იგი მზად იქნება.

კვირადღეა. ახალგაზრდა კოლმეურნეთა ჯგუფი გარმონით ერთობა.

ჰენრიხ კრაიერის ოჯახში სიხარული და ბედნიერებაა. [illegible] ამ სახლში მუსიკალური ინსტრუმენტების თავისებური სიმფონიაა: პატეფონი, გარმონი, მანდოლინა.

კლუბში საბავშვო ბილიარდი აქვთ. ერიკა ისვალდი და ერიკ რაიდენბახი ხშირად თამაშობენ ბილიარდს.

90.171 კაცმა გადაცვალა ობლიგაციები

1-დან 11 ოქტომბრამდე, ე. ი. 10 დღის განმავლობაში ტფილისში, წინათ გამოშვებული სესხთა ობლიგაციები გადაცვალა 90.171 კაცმა. გადაცვლილი ობლიგაციების თანხა უდრის 58.710.395 მანეთს.

განვლილი ათი დღის განმავლობაში ობლიგაციების გადაცვლა ხდებოდა 1824 კოლექტივში. ჯერჯერობით გადაცვლა არ დაწყებულა მუშა-მოსამსახურეთა 177 კოლექტივში, ხოლო 452 კოლექტივში გადაცვლა უკვე დაამთავრეს.

ინდივიდუალურად ობლიგაციები გადაუცვლია 14.960 კაცს 7.010.620 მანეთის თანხაზე.

განვლილი ათი დღის განმავლობაში, ობლიგაციების შემოწმებისას გამომჟღავნებულ იქნა 14.143 მოგება. მოგებათა ნაწილი—654.400 მანეთი უკვე გაცემულია.

◆

ქუთაისი

ლიტოპონის ქარხნის მშენებლობა

მთავრდება ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა თავისი სიმძლავრით პირველია მთელ საბჭოთა კავშირში, ხოლო რიცხვით მეორე. ძირითადი კორპუსი, საქვაბე და სატრანსფორმატორო შენობები ძირითადად დამთავრებულია. ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები და გაზგენერატორის საამქროს მშენებლობა.

1936 წელს ლიტოპონის ქარხნის მშენებლობისათვის გადადებულია ოთხი მილიონი მანეთი, მაგრამ ეს თანხა მთლიანად ვერ იქნება ათვისებული სამონტაჟო სამუშაოების გაჭიანურების გამო. მთავარი კორპუსის მონტაჟი უნდა დაწყებულიყო მესამე კვარტალში, მაგრამ მომწოდებელმა ქარხნებმა არ შეასრულეს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულება და თავის დროზე არ მიაწოდეს ქარხანას საჭირო ღუმელი (ბერდიჩევის ქარხანა „პროგრესი“) ბურთულა წისქვილი (არტემის სახელობის ქარხანა) და სატრანსმისიო მოწყობილობა („რემმაშტრესტი“).

საჭირო გახდა სამონტაჟო სამუშაოების გადატანა ნოემბრისათვის. პირველ რიგში დამონტაჟდება გაზგენერატორის საამქრო და მთავარი კორპუსის თუთიის განყოფილება. სამონტაჟო სამუშაოებს აწარმოებს ტრესტი „ორგხიმმონტაჟი“.

ექსპლოატაციაში ქარხანა მზად იქნება 1937 წლის მეორე ნახევარში. ამ დროისათვის ქარხანა სავსებით იქნება დაკომპლექტებული მუშათა მუდმივი კადრებით —600 კაცის რაოდენობით.

ქარხნის ამუშავებისას მუშებისა, მოსამსახურეებისა, და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის ქარხნის მახლობლად იგება მუშათა კეთილმოწყობილი ქალაქი. უკვე დამთავრებულია 12-ბინიანი სახლის მშენებლობა, მთავრდება 18-ბინიანი სახლის აგება და დაწყებულია კიდევ ერთი 12-ბინიანი სახლის მშენებლობა. მომავალ წელს მუშათა ქალაქის ტერიტორიაზე აიგება კლუბი, სასადილო, საბავშვო ბაგები და ახალი სახლები მუშებისათვის, აგრეთვე სპეციალური შენობა ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის.

ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 19 ათას ტონა თეთრ მინერალურ საღებავს (ლიტოპონს), რომელსაც ფართოდ იყენებენ სამღებრო საქმეში და რეზინის მრეწველობაში. (საქინფ).

◆

ჭადრაკი

მატჩი მაესტროს სახელის მოპოვებისათვის

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურის და სპორტის საქმეთა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ფიზკულტურის და სპორტის საკავშირო კომიტეტის წინაშე, რათა მოეწყოს საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკის ამხ. ა. ებრალიძის მატჩი მაესტროს სახელწოდების მოსაპოვებლად.

შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია.

მატჩი მოეწყობა ნოემბრის ბოლოსა ან დეკემბრის პირველ ნახევარში. საკითხი, თუ რომელი მაესტრო გამოიყოფა ამ მატჩისათვის, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

გავაცხოველოთ რემედასის მუშაობა

რემედასის ტფილისის საქალაქო კონფერენცია

არასოდეს ისე დიდი [illegible] არ ჰქონია რემედასის მუშაობას, როგორიც ახლა, [illegible] საერთაშორისო ფაშიზმის სისხლიანი ლაშქრობა მუშათა კლასის წინააღმდეგ, ერთის მხრივ და აღმავალი რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში მეორეს მხრივ. რემედასის ორგანიზაციები ახლა უნდა მუშაობდნენ აქტიურად. მაგრამ სწორედ ასეთ მნიშვნელოვან მომენტში საქართველოს რემედასმა თითქმის საგრძნობლად მიიძინა თავისი საქმიანობა. ეს იმიტომ მოხდა, რომ რემედასში შემავალმა ცეკავშირებმა და გამგეობებმა თითქმის სრულ განიავებამდე მიიყვანეს რემედასის [illegible]. ამ საკითხებზე ლაპარაკობდნენ რემედასის ტფილისის მე-5 კონფერენციის დელეგატები და მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა მიაღწიონ უახლოეს დროშივე რემედასის საქმიანობის გაცხოველებას.

კონფერენციამ მოისმინა ამხ. პ. შარიას მოხსენება რემედასის ორგანიზაციების ახლობელ ამოცანათა შესახებ. ეს ამოცანებია: გავზარდოთ რემედასი მასობრივ ინტერნაციონალურ აღმზრდელობით ორგანიზაციად, ფართოდ გავშალოთ რემედასის ორგანიზაციების ქსელი, შევიყვანოთ წევრებად [illegible] და სხვ.

რემედასის ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ მუშაობა რომ მშრომელთა ფართო მასებმა მორალური და ნივთიერი დახმარება გაუწიონ კაპიტალისტური ქვეყნების ციხე-საპყრობილეებში მყოფთ თავისუფლებისათვის მებრძოლთ.

რემედასის მუშაობის შესახებ კონფერენციაზე გაცხოველებული მსჯელობა გაიმართა. ამ მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს მუშებმა—კარკუსოვმა, სოლომონიძემ, ხახუტაშვილმა, ჭუმლავამ, ლემავამ, დარაკოვამ, კალეჩოკოვამ, არაბულოვამ, მიტასოვმა, კუპრაშვილმა და სხვ.

კამათის შემდეგ მიღებულ რეზოლუციაში კონფერენციამ ზუსტად განსაზღვრა რემედასელების წინაშე მდგომი ამოცანები და, სხვათა შორის, აღნიშნა რომ საჭიროა შემოღებულ იქნას თვეში ერთხელ მაინც „რემედასის დღის“ ჩატარება, გადიდდეს რემედასის საწევრო გადასახადი, რადგან მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების შედეგად არსებული გადასახადი მცირედ იქნა ჩათვლილი.

დასასრულ, კონფერენციამ აირჩია რემედასის ორგანიზაციის ტფილისის კომიტეტი 31 კაცის შემადგენლობით და ტფილისის კომიტეტის სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

რემედასის სრულიად—საქართველოს ყრილობაზე გასაგზავნად კონფერენციამ აირჩია 96 დელეგატი. მათ შორის არიან: ამხ. ლ. ბერია, ე. ბაქრაძე, ფ. მახარაძე, სტურუა, გ. მგალობლიშვილი, გრ. არუთინოვი, ე. ბედია, მ. გობეჩია, გ. სტურუა, პ. შარია, მგელაძე, აბიბაძე, ა. გოროგობიანი, ა. მუშიშვილი, მ. ნიორაძე, ს. მგვრელიშვილი და სხვ.

◆

ნ. ბარათაშვილის აკადემიური გამოცემა

„ფედერაცია“ ამზადებს ნიკოლოზ ბარათაშვილის აკადემიურ გამოცემას. ამჟამად ყველა მასალა შეკრებილია და მზად არის წარმოებისათვის გადასაცემად. აკადემიური გამოცემა გამოვა ერთ ტომად. წიგნი შეიცავს 25 ნაბეჭდ ფორმას. მასალების შეგროვებასა და გამოკვლევაზე მუშაობდნენ გამოჩენილი ქართველი მკვლევარები და მეცნიერული ძალები. პროფ. აკაკი შანიძემ დაწერა ვრცელი სტატია — „ბარათაშვილის ენა“, დოც. ს. ყაუხჩიშვილმა დაწერა — „ბარათაშვილების გვარის გენეალოგიისათვის“, გ. აბაშიძემ — „ბარათაშვილის ნაწერების [illegible]“, ალ. გაწერელიამ — „ნიკოლოზ ბარათაშვილის სტილი და თემა“, პ. რაჭველიშვილმა გაამზადა ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიული ნარკვევი და სხვ.

წიგნი გამოვა ამხ. [illegible] პასუხისმგებლობით და რედაქციით.

გარდა უკვე ცნობილი ლექსებისა, აკადემიურ გამოცემაში შევა ნ. ბარათაშვილის აქამდე უცნობი რამდენიმე ლექსი, ვარიანტები და კერძო წერილები.

არქივებში აღმოჩნდა ხელნაწერი ჟურნალი „**Цветок Тифлисской гимназии**“ რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს მასალები განსაკუთრებული ინტერესის ღირსნი არიან. ჟურნალში რამდენიმე ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელმოწერითაა გამოქვეყნებული.

აკადემიურ გამოცემაში მოთავსდება ნიკოლოზ ბარათაშვილის არსებული იკონოგრაფიული მასალები და მოცემული იქნება ცდები მწერლის ნამდვილი პორტრეტის აღდგენისა. წიგნი ბაზარზე გამოვა მომავალ წლის პირველ კვარტალში.

◆

ახალი ამბები

○ **საქ. სახელმწიფო** ზოოვეტინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტის 1936 წლის კურსდამთავრებულთათვის სახელმწიფო გამოცდების სესია დანიშნულია 1—30 დეკემბრამდე, ხოლო სავეტერინარო ფაკულტეტისათვის 1937 წლის 7 იანვრიდან 7 თებერვლამდე. წინა წლების კურსდამთავრებულთათვის სადიპლომო თემების დაცვა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება დანიშნულია 1—30 დეკემბრამდე.

○ **გუშინ** რუსთაველის პროსპექტზე, რუსთაველის თეატრის პირდაპირ გაიხსნა კომფორტულად მოწყობილი ახალი კაფე-სასაუზმე. კაფეში გაიყიდება სპეციალურად დამზადებული მაღალხარისხოვანი ნამცხვარი.

○ **ტფილისში** ჩამოვიდა სრულიად საკავშირო საზღვარგარეთ გამოფენების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი პროფ. ბ. ი. ნაზაროვსკი, რომელიც არკვევს გამოფენაზე საქართველოს მონაწილეობის შესაძლებლობის და ფორმების საკითხს.

○ **დღეს**, 12 ოქტომბერს, ტფილისის მოჭადრაკეთა ქვეითი ლაშქრობის მონაწილე ამხ. ისაკოვი ცენტრ. საჭადრაკო კლუბში მოხსენებას გააკეთებს მოჭადრაკეთა ტფილის-ბათომში გადასვლის შესახებ.

○ **მოზარდ** მაყურებელთა ქართული თეატრის სეზონი გაიხსნება 14 ოქტომბერს პიესით „[illegible]“. თეატრის შენობა შეკეთებულია, მოწყობილია გარდერობი.

შეხბურთი

საშემოდგომო პირველობის გათამაშება

დღეს, 12 ოქტომბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე იწყება საშემოდგომო პირველობის გათამაშება ფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილეობას იღებენ სასპორტო საზოგადოებები „დინამო“, „ლოკომოტივი“, „მშენებლები“, „სპარტაკი“, „ბურევესტნიკი“ და სხვ.

სეზონის გახსნის აღსანიშნავად გაიმართება ფეხბურთელთა პარადი და ორი შეხვედრა. დღის 2 საათზე თამაშობენ ინდუსტრიული ინსტიტუტის მეორე გუნდი და 26-ის სახელობის რაიონის გუნდი, ხოლო 4 საათზე — „დინამო—ბ“ და „მშენებლები“.

ეს უკანასკნელი მატჩი დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს. „მშენებლებმა“, როგორც იცით, „საქართველოს თასი“ მოიგოვეს. „დინამო—ბ“ შემადგენლობაში შედის რამდენიმე მოთამაშე პირველ „დინამოდან“.

პირველ მატჩს სჯის ნ. სოლომონიძე, მეორეს—ბ. [illegible].

○

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა ტფილისის კომიტეტმა ესპანეთის ქალებისა და ბავშვების დასახმარებლად 6 ოქტომბერს მოაწყო ფეხბურთის და რაგბურთის მატჩი. ამ შეჯიბრებებიდან შემოსული 4.027 მანეთი გადარიცხულია ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დახმარების ფონდში.

◆

შემთხვევები

○ **ქურდების შეპყრობა.** 3 ოქტომბერს ღამით წითელ-წყაროდან ტფილისში მოდიოდა „საქნავთის“ ავტომანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი ა. პ. პოტრაშოვი. შოფერი ღამის [illegible] ჩამოვიდა ქუთაისის ქ. № 22, მანქანა კი იქვე ეზოში დასტოვა. დილით გამოირკვა, რომ მანქანიდან მოუპარავთ სათადარიგო აკუმულატორი და 9 ცალი კამერა. ამჟამად ქურდები ა. ი. ლევშენკო და ა. ს. პოტაპოვი დაპატიმრებულნი არიან. მათ ჩამოერთვათ მოპარული ნივთები. ქურდებს პასუხისგებაში აძლევენ.

○ **ავარია.** მოძრაობის წესების დარღვევის გამო [illegible] და კალინინის ქუჩების კუთხეში „სასწრაფო დახმარების“ ავტომანქანა № 27—92 დაეჯახა № 2 მარშრუტის ტრამვაის ვაგონს. მსუბუქად დაშავდა „სასწრაფო დახმარების“ სანიტარი ტ. ნ. [illegible] (პეტრიწის ქ. № 71). მანქანა დაზიანებულია. შოფერ ა. დ. მზეიძეს და ვატმან მ. ი. [illegible] პასუხისგებაში აძლევენ.

საქ. სამხედრო გზაზე სახარეკო ავტომანქანა № 14—16, რომელსაც მართავდა შოფერი გ. ი. მამიევი, დაეჯახა ველოსიპედით მიმავალ ნ. დ. გუგუნავას (მცხეთის მცხოვრები). მძიმედ დაშავებული გუგუნავა საავადმყოფოში მოათავსეს. შოფერი მამიევი დაპატიმრებულია.

● **მძარცველთა შეპყრობა.** 2 ოქტომბერს ნაროყალის ქუჩაზე დანით შეიარაღებული ორი მძარცველი თავს დაესხა [illegible] მცხოვრებს მოქ. გ. ი. სიმონოვს. წაართვეს პიჯაკი და 325 მანეთი ფულად. 4 ოქტომბერს მძარცველები შეიპყრეს. ისინი აღმოჩნდნენ ბ. დ. მეძინაშვილი (მახარაძის ქ. № 78) და ს. ე. [illegible], როგორც გამოირკვა, მეძინაშვილი ციხიდან გაქცეულა.

სასამართლო

მტაცებელნი სამსჯავროს წინაშე

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან (იხ. „კომუნისტის“ 24 სექტემბრის ნომერი), უზენაესმა სასამართლომ ამხ. ზურაბიშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორის ამხ. ცეილაძის მონაწილეობით 25 სექტემბერს დაიწყო ყოფილ ტესკაის (ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის) სამშენებლო განყოფილების თანამშრომელთა საქმე.

ბრალდებულთა სკამზე 20 კაცი ზის [illegible]: გიორგი სამსონიშვილი, ამირან ფულაქველიძე, ცოტნე დადიანი, „მომმარაგებელი“ იოსებ გელოვანი, არტელ „მშენებლობის“, „სამშენის“, და „სწრაფმშენის“ თავმჯდომარეები—პეტრე ძიძიგური, ბესარიონ ზინჭიძე, მიხეილ კეპულაძე და სხვანი.

ბრალდებულთა და მოწმეთა დაკითხვის შემდეგ, რასაც 12 დღე გასტანა, სასამართლომ შეკითხვებით მიმართა ექსპერტებს.

ამჟამად მუშაობს ინჟინერთა ტექნიკური ექსპერტიზა. ბუღალტრული და კალკულაციური ექსპერტიზა [illegible] სასამართლოს 15 ოქტომბერს წარუდგენს, რის შემდეგ პროცესი გაგრძელდება.

ზ.

◆

ახალი წიგნები

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი: ბოკაჩიოს „დეკამერონის“ მეორე ტომი (თარგმანი თ. სახოკიასი).

ლერმონტოვის — „ჩვენი დროის გმირი“— წიგნი თარგმნილია შალვა დადიანის მიერ, მხატვრულად გაფორმებულია მხატვარ ი. შტეინბერგის მიერ.

ლევან მეტრეველის წიგნი „ანდაზები“.

ვ. ჩუბინიშვილის — „ქართული ხელოვნების ისტორია“. წიგნი დასურათებულია და ჩასმულია მაგარ ყდაში.

რაფიელ ერისთავის მეორე ტომი—წიგნი გამოდის შალვა რადიანის რედაქტორობით, წიგნს დართული აქვს რედაქტორის წინასიტყვაობა და შენიშვნები.

წიგნი მხატვრულად გაფორმებულია მხატვარ ნ. ჩერნიშოვის მიერ.

◆

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

13 ოქტომბერს

აგიტატორთა კურსების მეცადინეობა (ყველა ჯგუფი). დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კპ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია საქ. კპ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის პროგრამის მორიგ თემებზე. საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია [illegible] პოლიტმუშაკებისთვის თემაზე—„კლასების ლიკვიდაცია საბჭოთა კავშირში“. დასაწყისი დილის 10 საათზე.

კონსულტაცია თემაზე—„ბოლშევიკური სტრატეგია და ტაქტიკა—პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სახელმძღვანელო მეცნიერება“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი —საუბარი კომკავშირის აქტივისათვის თემაზე — „სოციალიზმი და ოჯახი“. საღამოს 8 საათზე.

○

13 და 14 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკში (პლეხანოვის პროსპ. № 105) მოწვეულია საქ. ალკკ ტფილისის ორგანიზაციის აქტივის კრება საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმის შედეგების გასაშუქებლად.

მომხსენებელია ამხ. ი. შველიძე.

შესვლა რაიკომების მიერ გაცემული ბილეთებით.

◆

დღეს თეატრებსა და კინოებში

● **რუსთაველის თეატრი**— „არსენა“.

● **მარჯანიშვილის თეატრი**—„[illegible] საქართველოში“.

● **რუსის თეატრი**—„[illegible]“.

● **გრიბოედოვის თეატრი** — „[illegible]“.

● **კინო „ოქტომბერი“** — „[illegible]“.

● **„დამკვრელი“** — კაპიტან გრანტის შვილები.

● **„კომკავშირელი“** — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“.

● **„ლუქსემბურგი“** —„დიდი ქალაქის ჩირაღდნები“.

● **„კომინტერნი“** — „სნაიპერი“.

საქორწილონი

ვ. ირაკლი

ამ დილითაც ჩვეულებრივ ალიონზე წამომხტარა და პირველი მოვიდა. ერნსტ ლანგენშტეინის მეცხრე ბრიგადა სწრაფად იკრიბება კანტორის წინ მამაკაცები მოდიან მორწყილი[illegible] ტიკივით გატენილი ხურჯინებით მხარზე, ხელში ზოგს ჩამგალი უჭირავს, ზოგსაც კალათები. ქალებს ჩალის ქუდები ჰხურავთ, ქუდის კიდურების ჩრდილში სახე ეკარგებათ.

ბერტა ფრიკე ამ ბრიგადის თვალია. იგი ყოველთვის წინა ფურგონს დაუჯდება ხოლმე და პირველი მიერეკება ცხენებს ვენახისაკენ. მასაც და მის ამხანაგებსაც უკვე გამოზომილი აქვთ დღეს რაც უნდა გააკეთონ. წინა საღამოს ბრიგადირმა ყველა დაარიგა, ყველას თავ-თავისი საქმე მიუჩინა და დილით, როცა სამუშაოდ მიდიან, ყველამ იცის, სად მიდიან და რა მოიმოქმედონ.

დღეს ვენახი უნდა შეამზადონ საკრეფად. ორი-სამი დღე და კრეფაც დაიწყება. ყველაფერი მზად უნდა იყოს ბერტა გულიანად იცინის და ცხენებს იმ რწმენით მიერეკება, რომ დღესაც პირველობას შეინარჩუნებს. სახე ვარდივით გაუშლია, თავი ოდნავ ქერა თმით მოუქარგავს, ხელში გამოცდილ მხედარივით მოუკეცია სადავე და მათრახს ისე ოსტატურად უთამაშებს ხოლმე ცხენებს თვალწინ, რომ შემდეგ გადაკვრა საჭირო არც კი არის.

ყოველთვის, როცა ის ასე მოხერხებულად აიქნევს ხელს, ამხანაგები სიცილს წააყრიან ხოლმე, ხმაურობა ცხენებს აფხიზლებს და ისინიც ნაბიჯს უმატებენ.

უეცრივ, თითქო რაღაც მოაგონდაო, ბერტა გვერდით მჯდომ ბრიგადირს მიუბრუნდა და შეეკითხა.

— როგორ მოგეწონა, ერნსტ, ჩემი თამაში? მგონია ვენახის გარდა სცენაზეც გამოვდგები, არა?

სანამ ერნსტი უპასუხებდა, სხვებმა დაასწრეს. ქალებმა აქეთ-იქიდან წამოუძახეს:

— მშვენიერია, ვერც კი გიცანით. ისე ეშმაკურად იყავი გამოწყობილი.

— ყურძნის კრეფაზე უფრო არტისტობა დაგშვენდება — დინჯად დაუდასტურა ერნსტმა და მშობლიური სიყვარულით ალხავსე თვალი ჯერ ბერტას შეავლო, შემდეგ ქალებს დანარჩენებს, თითქო მათგანაც დასტურს ელოდა.

— მართალია, მართალი... დაუმატეს აქეთ-იქიდან.

წუხელ ვენახის ნაცვლად ბერტა სცენაზე ტრიალებდა. „მონების შეთქმულება“ წარმოადგინეს. ბერტას სადავე არ ეჭირა ხელში და არც ჩალის ქუდი ეხურა. იგი მონა ქალი იყო, საზიზღარი ბატონისა და ზედამხედველის წინააღმდეგ ამხედრებული ქალი, რომელიც თავისი და თავისი ამხანაგების პლანტატორის [illegible] იცავდა. ისეთი რიხითა და ჟღერით მოუწოდებდა ამხანაგებს შურისძიებისაკენ და შემდეგ ისე [illegible] მოუღო ბოლო ბატონს, რომ დარბაზში, პარტერში მჯდომ ფრიცს, ბერტას საქმროს, ამხანაგები გაეხუმრნენ.

— ბიჭო, ეს ბერტა რა ცეცხლი ყოფილა. უფრთხილდი ფრიც, უფრთხილდი!

ამ სიტყვებმა ფრიცს სიამაყე შემატა და მის თვალში ბერტა უფრო მეტად გაიზარდა.

ფურგონები ვენახს მიადგნენ. ბერტამ პირველმა ისკუპა, ცხენები მომვლელს ჩააბარა და სამმა ქალმა სწრაფად გასწიეს ოქროსფერად [illegible] ვაზებისაკენ.

ვაზის ძირები უნდა შეეწმინდათ. მეტისმეტად დაბლა დაშვებული მტევნები აეწიათ და აეკრათ, ზედმეტი ლერწები დაეკაფათ და ვენახი საკრეფად მოემზადებინათ. ქალები გულიანად შეუდგნენ მუშაობას. ბერტა შეუმჩნევლად გადადიოდა ვაზიდან ვაზზე და მალე სხვებს გაუსწრო. საუზმისათვის მას უკვე [illegible] ჰქონდა გასხლულ-გაკრეჭილი.

საღამოს, როცა ნაშუადღევს მოათავეს ბრიგადირმა ყველას ნამუშევარს ჩამოუარა, შეამოწმა, გულდასმით ჩაიხედა და ჩაინიშნა, ბერტას ნახელავი განსაკუთრებით მოეწონა ერნსტს.

— კარგია შვილო, კარგი—მოუწონა მან ბერტას, ასე შვილიც არის. როგორც გატყობ ჩვენი ნორმები შენთვის მონავონიც არ არის, — და ბრიგადირმა იქვე აღნიშნა: 1.500 ვაზის ნაცვლად ბერტამ 3930 ვაზი მოამზადა. ეს 2,75 შრომადღეს უდრიდა, ფულად კი 30 მანეთს მაინც ნიშნავდა. ბევრს სხვასაც გადაჭარბებით შეესრულებინა ნორმა.

— კრეფაც ასე კარგად უნდა მოვაწყოთ, ამხანაგებო. ხვალ-ზეგ უკვე პირველ მტევნებს მოვწყვეტთ და ამ წლის ბარაქამ უფრო უნდა გაამდიდროს ჩვენი კოლექტივი—უთხრა ბრიგადირმა კოლმეურნეებს და სოფელში დასაბრუნებლად თადარიგს შეუდგა.

გზადაგზა კოლმეურნეები ყურძნის კრეფაზე საუბრობდნენ. შემდეგ ისევ წუხანდელ წარმოდგენას დაუბრუნდნენ. ბოლოს იმ საკითხზე ჩამოაგდეს სიტყვა, რომელიც ბერტას ყოველთვის აღელვებდა და ჭარხალივით აწითლებდა ხოლმე.

— შემოდგომაზე ქორწილს ხომ ვჭამთ, ბერტა? — შეეკითხა მას ანსელმი.

შეკითხვა სწორედ ისეთ დროს და ისეთ ადგილას იყო დასმული, როცა ფურგონი ფრიცის სახლს გაუსწორდა. ფრიცს ყველაფერი მომზადებული აქვს საქორწილოდ. შემოდგომის სამუშაოთა მოლევას უცდის. ბერტაც მოუთმენლად მოელის ამ დროს და უმზადება.

ბერტამ ანსელმს არაფერი უპასუხა. ჩუმდუმად შეავლო თვალი საქმროს სახლს და მერე, თითქო ანსელმის გაბრაზება სურსო, მოწყვეტით წამოიძახა:

— რატომაც არა!

შემდეგ უეცრივ თავი ქორწილში წარმოიდგინა, ცხენებს სადავე შეუთამაშა, [illegible] შესწორდა, ანსელმს თვალით ანიშნა—ბანიო, და წყნარად, თავისთვის ჩვეული დაბალი ხმით წამოიწყო სიმღერა. დანარჩენებიც აჰყვნენ. უკანა ფურგონებზეც და მთელი ბრიგადა სოფელში სიმღერით შემოვიდა, თითქოს მაყრები მოდიან და დედოფალი მოჰყავთო.

ფრიცი კანტორასთან იდგა. მხიარულად შეეგება საცოლეს. მუშაობის ამბავი გამოჰკითხა. ანსელმმა, ახლა იმას ჩამოუგდო ლაპარაკი ქორწილზე.

— **Фриц, могу ли заранее Вас поздравить?** — შევეკითხე მეც და ფურგონიდან ჩამოვხტი.

— რათა, ქორწილზე გვეწვიეთ და იქ მოგვილოცეთ!—მიპასუხა ფრიცმა ქართულად.

ბერტამ კანტორაში შეირბინა, მალე დაბრუნდა და ღიმილით დაგვემშვიდობა. შეგვპირდა, გადავიცვამ და საღამოს კლუბში შევხვდეთ ერთმანეთსო.

— ამბობენ, რომ თქვენ კარგი სროლა იცით, მინდა გაგეჯიბროთ—დაამატა მან.

— სიამოვნებით, ვცადოთ — ვუთხარი მეც და ფრიცთან ერთად სახლისაკენ გავსწიე ახალი ბედნიერი წყვილის მომავალი ბინისა და მოწყობილობის სანახავად.

ასურეთი 7 ოქტომბერი.

ბრიგადირ ერნსტ კუგელის გოგონა—იდა სწავლის ფრიადოსანია. სურათზე: იდა თავის მეგობრით—ფისოთი

ფოტო რ. აკოფოვის

ფოტო — აპარატით ასურეთის მილიონერ კოლმეურნეობაში

ფოტო რ. აკოფოვის

ბერტა კუმის ტყუპები [illegible] საბავშვო ბაღიდან შინ მიჰყავს.

კოლმეურნეობის საბავშვო ბაღში 100-ზე მეტი ბავშვია. დედები სამუშაოზე არიან, ბავშვები კი აქ [illegible], თამაშობენ, მღერიან, სწავლობენ. საღამოს ბავშვები სახლში მიჰყავთ.

ოსოავიახიმის ადგილობრივმა ორგანიზაციამ მრავალ [illegible] ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სროლაში ვარჯიშობს.

კულტურის და დასვენების ბაღი კვირას ხალხით [illegible] კოლმეურნენი [illegible] და ერთობიან.

კოლმეურნეობის საკუთარი სასულე ორკესტრი [illegible]. კვირაობით ორკესტრი ბაღში უკრავს.

ჰენრიხ კრაიერი ძველი კოლმეურნეა. წარსულ წელს მან კაპიტალური რემონტი გაუკეთა სახლს. ახლა სახლი [illegible].

ადოლფ შოთი მხოლოდ 1935 წ. ბოლოს შევიდა კოლმეურნეობაში. აი მისი სახლი! ახლა იგი [illegible]. მალე ადოლფსაც ახალი კოხტა სახლი ექნება.

მისამართები: რედაქციისა — ტფილისი რუსთაველის პროსპექტი № 16; გამომცემლობისა — რუსთაველის პროსპექტი. № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორისა: 3—62—26, მოადგილეებისა: 3—63—01 და 3—08—67; ჩამდგენისა: 3—06—83, განყოფილებებისა: პარტიულისა — 3—57—61; სასოფლო-სამეურნეოსი—3—73—40; მშრომელთა წერილებისა—3—73—24; გამომცემლობისა—ღამის რედაქტორისა — 3—26—67—ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ხ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული Д 8502